

140 /
1984/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԵՍԿՈՒՆԵՍԻ



ՀՈՒՆԵՍԻ

9
1984

სიძნის ზვიას ბიძი ცაპო, ყაპაწყვიცაპო!

სუქვემბუნი

მზია კახიანი

ჩვენი კვალი შერა ბილიკს, ბაღებს, ზღვებს და თარიღებს და ზაფხულოდ ბილიდ-ბილიდ შოშიტებს წიფებს, გაიყოლებს ნაპერქლები ოცნებათა, კოცონთა,

მოყავს სიტბო, უხვად დანაპირები. და ამღერდა სადღაც, აქვს წიფობლავ ტბილი წმით, მერე თავკვეთ, თავკვეთ, თავკვეთ დავიკავ ბილიკი, - სკოლისკენ! სკოლისკენ!

აუნთია ყმაწვილები - ეს ხომ ლეგის სკოლისა! „დღეაუნის“ შრილია გასამღელო ფრთებია, სკოლის გზაზე ნიაგი, ხეს ფოთლები სწუფდებიან... - რატომ? - რატომ? - რატომ? არ ელევით კოთხებში, არ ეთობნა წიფნი ხულებს! აქ ბეგრ რამეს მივხედვით! და ჭრილავს სკოლის კარი სასიკეთოდ! მშვიდობით, - კარგი სწავლით გავცაბანურ და მამულომელობით.



მზია კახიანი

ის ჩიტები და მერცხლები, ფრთები მზე რომ მოქონდათ; სახედა მეთაპრობა - ფირბი ნაწალოფები, წამი, როცა გულში გარბოთა გრწინაბა გამოუქმელი. და შემოფდა მთაზე ჯიქურ ოქროსქება ირები - შემოფდობა,


პირაქით თუ პირიქით... - წარი, წარი, წარი, - რომ გვცნობს ტბილად, ეს ხომ სკოლის ზარის! მოვებრთ ჯუჯოდა; კერბად, წყვილად, მოვლოთ, მოვცინარია! მაფთობის და ყვევილობის, ყელსახვევთა ქარია!

საქართველოს აკადემიის და მხარე
საქართველოს აკადემიის და მხარე
საქართველოს აკადემიის და მხარე

საქართველოს აკადემიის და მხარე

ბიონეზი

9 სექტემბერი 1984



17-736

გიორგი კახიანი

თქვენ ჩვენი მომავალი ნათელი ცხოვრების მშენებლები ხართ და ფოკუსის ღრსულად უნდა ატარებდით საბჭოთა მოქალაქის სახელს, საყოველი წვლილი შეიტანოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში.

გიორგი კახიანი
დაიბნა 77-წლიანი სკოლის დირექტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო მომსახურებელი.

სკოლა და გულელი გილოვათ ამ მარტოდ მშენებელ, თქვენზე მეტნიერთი დამოხმობისმეხუდ დღესასწაულს „ცოდნის ზვიმი“ პარტიისა და მთავრობის ნორჩ თაობაზე მუდმივი ზრუნვის კიდევ ერთი გამომავლინება.

გავა წლები, თქვენ, დღევანდელი ზვიმის მონაწილენი, დაამთავრებთ საშუალო სკოლას და ცხოვრებისეული გზის არჩევანის წინაშე აღმოჩნდებით. აღბათ მრავალი თქვენგანი უბედულ სასწავლებელში გააგრძელებს სწავლას, ბევრი ფაბრიკა-ქარბნებს, პლანტაციებსა და

სწავლა წარი არს ცხოვრების, სიბრძნე - მისი ნაკადული, და ნათელი მათი ერთად შევება, ლხენა, სიხარული.

მეცნიერული

ვენახებს მარტოობა რომელიც ვეგანი არ უნდა დავიწყებდით, რომ კვეთას, სასოვადღობა თქვენში საკუთარ მომავალზე ხედვას, რომ მათი კომპლექსით თქვენი. ესაფეთ გამაართლით ეს იმედი.

მე, როგორც მუშაობა კლასის წარმომადგენელს, მუშებრითა, უფრო მეტად მანერტრებს, როგორც ცვლის მიიღებს ჩვენი ფაბრიკა-ქარბნები. ჩემს თავს უტელახს მივცემ და ამ სწავლით დღეს შევასწავნებთ, რომ სასოვადღობის განვითარების თანამშრომლები ეტაპზე კვლავიფორმული მუშისთვის არ ემარბა შედამთქვენი ფლობდეს თავის პროფესიას. დღეს მუშა უნდა იყოს კომუნისტური სულისკეთებით აღჭურვილი, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე, განაღლებული და კულტურული ადამიანი.

კიდევ ერთხელ გილოვათ სასწავლო წლის დწყებას, კეთილის ზვიმი! კისურებდა წარმატებებს სწავლასა და შრომასში!

ბილიდი მოვლოცა


საქართველოს აკადემიის და მხარე
საქართველოს აკადემიის და მხარე
საქართველოს აკადემიის და მხარე



ბ. ბოგოლუბი (მარჯვენაზე) მუშაობა პირბარის წინაშე

ბაგ. სსრ კ. ბარსილი
საბ. სსრ. რესპობა

დაბავლი
გამოღვა
მავიღის
ჩოვავოთში
შარიღვა,
პირველოვა
მოიავოს
პირველ-
რავვეღვა.



ქვეყნის ხმა

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის კიკეთის პიონერთა ბანაკი „მეგობრობა“ სწრაფად შეიქმნა მორიგი ნაკადით. თელავიდან, წნორიდან, გურჯაანიდან, წითელწყაროდან, ახმეტოდან, გორიდან, კასპიდან, ფოთიდან, ჭიათურიდან ჩამოსული პიონერები პირველ ხანებში ერთმანეთს მორიდებით ათვალიერებდნენ, ეს გასაგებიც იყო — გოგო-ბიჭები ერთმანეთს ჯერ ხეირიანად არ იცნობდნენ. მაგრამ მალე ყველაფერი მოწყობილია. მოულოდნელად ბანაკის მთელ ტერიტორიაზე რეპროდუქტორებში გაისმა ბანაკის უფროსის ნიამ და-

ნელიას ხმა: „ყურადღება! ყველას, ყველას! ვთხოვთ გამოცხადდეთ ბანაკის ცენტრალურ მოედანზე, სადაც გელოდებთ უფროსი პიონერხელმძღვანელი ესმა თამაზიშვილი...“ მერე ყველაფერი თავისი რიგითა და წესით წარიმართა, რაზმეულის 320-მა პიონერმა რვა რაზმი შეადგინა. რაზმებში აირჩიეს პიონერული საბჭოები, რაზმეულის საბჭოც და, როცა ჯერი ბანაკის მესაყვირის არჩევაზე მიდგა, ყველა ერთხმად თამაზ ტაბატაძე დაასახელა. მას შემდეგ ბანაკში ყველაზე ადრე თამაზი წამოხტებოდა ხოლმე ლოგინიდან და მისი საყვირის ხმა-

ზე ბანაკის შემოგარენიც ახმიანდებოდა. იღვიძებდა ბანაკი. დილის გამამხნეველები ვარჯიშის შემდეგ — გემრიელი საუზმე, მერე — პიონერული ხაზი და — იწყებოდა ღრმადინარსიანი, საქმიანი საბანაკო ცხოვრების დღე.

ბანაკში ხშირად ეწყობოდა კონკურსები, სადაც იმარჯვებდა ყველა. „ეს როგორ?“ — შეიძლება ბევრს გაუკვირდეს. აი, როგორ. კონკურსში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ მთელი რაზმეული მონაწილეობდა. გოგო-ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერაში, ცეკვაში, მხატვრულ კითხვაში, სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრაში. ბუნებრივია, ვლინდებოდნენ ტალანტები და მათ ტაშით აჯილოვებდნენ, მაგრამ არც მსმენელები რჩებოდნენ წაგებულნი — ისინი თავიანთი თანატოლების ოსტატობით ტკებდნენ.

ასე იყო სამწყობრო სიმღერების დათვალიერება-კონკურსის დროსაც. მოწონებულ სიმღერას ყველა სწავლობდა და მთელი რაზმეული ერთხმად დაავუგუნებდა ხოლმე. ყველა იმარჯვებდა.

ბანაკში ხშირად ეწყობოდა ვიქტორინები. შეკითხვების უმრავლესობას ბევრი სწორად პასუხობდა და, ბუნებრივია, ტაშსაც იმსახურებდა. მაგრამ არც ის რჩებოდა „დაჩაგებული“, ვინც კითხვაზე პასუხის გაცემა ვერ შეძლო. თუ არ



შიღა საბანაკო სპარტაკიავაზე ვარკავში პირველად რაზმად გაიყარება, ხოლო პირად პირველოვაში გოგონავს შორის პირველ ალგილვა კითხილ გრიპუროვი გამოვიღა, ვაჟავს შორის კი — ვიკ ვიროვაჟი.

იცოდა, ხომ გაიგებდა და დაიმახ-
სოვრებდა სამერმისოდ?

განსაკუთრებული პოპულარობით
სარგებლობდა ბანაკში „სიცილის
სალამო“. მისი ყველა მონაწილე
ცდილობდა ან რაიმე სასაცილო
ამბავი მოეთხრო, ან რომელიმე
კინოკომიკოსისათვის მიეზაძა და
ამით თანატოლებში ღიმილი და
მხიარული სიცილი გამოეწვია. ერთ
ასეთ სალამოს ბავშვებმა შეიტყვეს,
რომ ბრაზილიაში „ხარობს“ სიცი-
ლის ხე. ეს სიცილის ხე თვით
ხალხმა შექმნა მხიარული განწყო-
ბილების შესაქმნელად: სახალხო
დღესასწაულების დროს ბრაზილი-
ელები განგებ ირჩევენ ისეთ ხეს,
რომელიც ძნელად მისაღწევ ადგილ-
ზე ხარობს. ამ ხესთან მისვლას ბევ-
რი ვერ ახერხებს და ეს სიცილს
იწვევს ხოლმე.

ამბავი ყველას მოეწონა და ბრა-
ზილიელთა მიზაძვით მათაც აირ-
ჩიეს ბანაკის ტერიტორიაზე ერთი
ბებერი მუხა, რომელთანაც მიღ-
წვევა არცთუ ისე იოლი საქმე იყო.
ჰოდა, სიცილით იჭაჭებოდნენ ყმა-
წვილები, როცა ხედავდნენ, როგორ

ან ფერდობზე კოტრალით მოგო-
რავდა; მაგრამ უფრო მეტად ხა-
რობდა და იცინოდა ის, ვინც თა-
ვისას გაიტანდა და ბებერი მუხას
ხელს შეავლებდა.

ფიზალზრდის მასწავლებელი შო-
თა ნარიძე და კალათბურთელთა
მწვრთნელი ნაირა შაკიაშვილი ყო-
ველ ღონეს ხმარობდნენ, რათა
წითელყელსახვევიან გოგო-ბიჭებს
ზაფხული ხალისიანად და შინაარ-
სიანად გაეტარებინათ. სწორედ
მათი უშუალო ხელმძღვანელობით
ჩატარდა საბანაკო სპარტაკიადა,
რომელმაც მრავალი იმედისმომცემი
სპორტსმენი გამოავლინა.

ბანაკში გატარებული დღეები
დიდხანს დარჩებათ ნორჩებს ტკბილ
მოგონებად. „კარგი ხარ, ბანაკო!—
ამბობენ პიონერები. — აბა რომელ
ჩვენგანს დაავიწყდება ექსკურსიები
ბეთანიაში, უძოზე და, ბოლოს.
წარსულში ქედუხრელი ქოროდლის
ციხის შემოგარენი...“

მიიწურა პიონერული ზაფხული.
ბანაკში დამეგობრებული გოგონე-
ბი და ბიჭუნები სევდანარევი გრძ-
ნობით ემშვიდობებიან ერთმანეთს.



მიიწვედა მავანი ბიჭი თუ გოგო
მუხისაკენ, მაგრამ მიახლოებას ვერ
ახერხებდა და უკუხიზვით თავქვე

სევდანარევი გრძნობით, მაგრამ იმ
იმედით, რომ მომავალ ზაფხულს
კვლავ შეიკრიბებიან ერთად.

კალათბურთი
საპარტეზელში დიდი
პოპულარობით სარ-
გებლობს. ეს ნორჩე-
ბის თაბაშირდნაც
ჩანს. სპორტულად ა-
ქაბულ გარდასა
მეორეაჯგუფებამ იმ-
არჯვეს და პირველ-
ბა არავის დაუთმეს.

საინტერესოდ წარი-
მართა ფრანგურთელ-
თა პაპრობა. პირვე-
ლი ადგილი ვაშბას
შორის აქაც პირველ-
რაჯველმას ხვდათ წი-
ლად, ხოლო ვოგო-
ნებს შორის პირველი
ადგილი მეორეაჯგუ-
ფებამ დაიკავეს.

კვამლი მთაში

ალექსანდრა ლორია

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მ ო თ ხ რ ო ზ ა

გარაჟის გამგემ აღარ იცოდა რა ელონა — წუხელ, გვიან ღამით სახლში დაურეკეს რაიკომიდან, ხვალ თქვენთან კაცი მოვა მეურნეობიდან და ერთი მანქანა გააყოლებთ მთაში ქარბოსელას ქედზე დამზადებული თივის ჩამოსატანადო. თანაც აფრთხილებდნენ, ძალიან ცუდი ამინდია მოსალოდნელი და თუ დროზე არ ჩამოვიტანეთ ის ბულულები, მერე იქ მანქანა ვერ ავა და ამდენი საკვები ონრად დაგვრჩებაო.

აბა, სად არის გასაოხრებელი თივა? წელს გვალვამ მთლად ამოუჭამა მიწას გული, ყველაფერი გადაწვა და ახლა, დიდი თუ პატარა, ყველა ფეხზე დადგა პირუტყვისათვის ზამთრის საზრდოს დასამზადებლად. მეურნეობის ვენახის ღობისძირებიც კი გამოცვლეს, სადაც ბალანი ოდნავ მაინც წამოზრდილიყო და ასეთ ვითარებაში რამდენიმე ტონა თივის დაკარგვა პირდაპირ ბოროტმოქმედებაა, მეტი არაფერი.

მაგრამ რა ქნას გარაჟის გამგემ? ყველა მანქანა სამი-ოთხი დღით ჰყავს გასტუმრებული სამეურნეო სამუშაოებზე. მხოლოდ ერთი სატვირთოა აგდია ეზოს ყურეში და ისიც ნახევრად დაშლილი და დანგრეულია. როგორ გინდა შეასრულო ხელმძღვანელობის ბრძანება?

მეტი რა ჩარა იყო, როგორმე სასწრაფოდ უნდა შეეკეთებინა ეს მანქანა და მთაში გაეშვა. მაგრამ ავა კი იმ დაკიდებულ ფერდობზე ეს „ბებრუნანა“.

გარაჟის გამგემ იჭვნეული მშერით გახედა მას თავისი კაბინეტის ფანჯრიდან და ოხვრით ჩაილაპარაკა:

— ე-ეჰ!.. რა იყო ერთ დროს!.. რა საქმეები უკეთებია მაგ დალოცვილს, და ახლა?.. — ხელი ჩაიქნია და მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებს მიუბრუნდა. სუფთა ბლანკი მოძებნა საგზურის გამოსაწერად.

პატარა კაბინეტში მის მეტი არავინ იყო, ეზო სულ დაცლილიყო და აღარ ისმოდა მძღოლების ჩვეულებრივი ლაზღანდარობა და ღრინაცელი. ასეთ სიმშვიდეს მიუჩვეველი, უცებ წამოხტა, ეზოს გახედა და თვალთ ძველი მანქანა მოძებნა, რომლის ქვეშაც მისი მძღოლი კარგა ხანია რაღაცას ჩხირკედელაობდა.

გამგემ ცას ახედა. ჯერ თითქოს ადრეული დილაა, მაგრამ მზე ისე ვარვარებს, კაცს სული შეუგუბდება.

შურნალ „კომნარის“
მიერ გამოსცხადებულ
კონაუსრსზე მოთხრო-
ბას „კვამლი მთაში“
მეორე პრემია მიენი-
ვა.



ის იყო დააპირა მანქანის ქვეშ შემძვრალ მძღოლს შეხმიანებოდა, როგორ მიდის საქმეო, რომ იმისი გაბურძენული თავიც გამოჩნდა ბორბლებს შორის, მალე კი თავადაც გამოძვრა ხვნეშითა და ხელების ბერტყვით.

— ესეც ენგრე! — ნახევრად თავისთვის, ნახევრად უფროსის გასაგონად ჩაილაპარაკა მძღოლმა და კაბინის საფეხურზე ჩამოჯდა. — თავის დროსაც არ ყოფილა ეგეთი.

— მორჩი? — იმედიანად გამოსძახა მას ფანჯრიდან უფროსმა, — საიმედოა?.. ხომ იცი, თუ ვერ ივარგა, ისევე შენ გაგტანჯავს.

მძღოლმა დამცინავად მოჭუტა თვალი და ისე გახედა გარაჟის გამგეს, თითქოს ეუბნებოდა, არ იცი საქმე ვისთან გაქვს თუ რაო.

ჰაი-ჰაი, რომ იმანაც კარგად იცის, ვისთანაც აქვს საქმე, მაგრამ რა ქნას?.. ამ ბედოვლათ გიგოს ვინ არ იცნობს, მუდმივი ავსიტყვაობისათვის მეტსახელად დიდი თუ პატარა გესლოს რომ ეძახის. ოქროს ხელი აქვს, მაგასავით მანქანა ვინ იცის, მაგრამ უჯილაგოა ეგ ოხერი! ერთ წესიერ სიტყვას არ იტყვის. საერთოდ სიტყვაძუნწია, დღეში ორ-სამჯერ თუ დააღებს პირს რამის სათქმელად, მაგრამ თუ დააღებს, ისეთს დააღებს, ყურში თითი უნდა გაირჭო. ცა და ქვეყანა გადაკიდებული ჰყავს გესლიანი ენის გამო. მანქანის საქმე ხომ ასე კარგად იცის, მაგრამ ყველაზე მოუწესრიგებელი მაინც მაგისი სატვირთო იყო. მოვლა არ უყვარდა, თავის დროზე არ მიხედავდა და ისე გაატიალებდა, მერე თვით მის მეტი ვერავინ ვერ მოუხერხებდა რამეს. სწორედ ამ მანქანის გაოხრებისათვის დაითხოვეს სამსახურიდან ერთი კვირის წინათ, მაგრამ ამ დღით, ჯერ მზეც კი არ ამოწვერილიყო, რომ სახლში მიუვიდა გარაჟის გამგე, ღამის დაუჩოქა, შენი ჭირიმე, გვიშველე რამე, მანქანა საჭიროო... რომ არ გავგზავნო, მომხსნიან... ეგ მანქანა ხომ შენი დამტკრეულია, ბარემაც შენვე ააწყვე და სამსახურში დაგაბრუნებო.

გიგოს არც სინარული გამოუმტლავნებია და არც წუხილი, ადგა და წაჰყვა ვანუა უფროსს გარაჟში. ერთხანს გარე-გარე უარა მანქანას, მერე ქვეშ შეუძვრა, და აჰა, ახლა ნახე!.. აახროტინა თუ არა?

რიხით მიაყენა თავისი სატვირთო კანტორას და უფროსს ამაყად გამოსძახა:

— ჰეი, ვანუა... მამე, მამე, შენი კაცი და წავედი!

გარაჟის გამგემ, თითქოს ახლა გამოერკვაო, უმწოდ მიმოიხედა. გაახსენდა, მეურნეობიდან გამოგზავნილი კაცი ჯერაც რომ არ მოსულიყო. არადა, დრო არ ითმენს. ამ საღამოსვე, დაღამებამდე უნდა ჩამობრუნდნენ, ქარბოსელამდე კი კარგა დიდი მანძილია და მერე გზაც როგორია!.. ის იყო, მეურნეობის ხელმძღვანელობის ლანძღვას უნდა შესდგომოდა, რომ, საღ იყო და საღ არა, ერთი პატარა ბიჭი გამოძვრა და ფანჯრის წინ აიტუზა:

— მე უკვე დიდი ხანია აქა ვარ.

ვანომ და გიგომ გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. მათ წინ ერთი გამხდარი, ნაბოლარა წიწილასავით მოცუტქნული, ცამეტ-თოცმეტოდე წლის ბიჭი იდგა. მკლავზე ტანსათბურა გადაეკიდა. ორთავე ხელით რაღაც ფუთა პქონდა მიკრული მკერდზე. მდელოსფერი ტილოს ხამი ბლუზა ნახევრად შეხსნოდა, პიონერული წითელი პილოტურა მხარზე დატანებულ სამხრეებისმაგვარ დანაკერებში გაერჭო. შარვლის ტოტები მაღალყელიან ფეხსაცმელებში პქონდა ჩატანებული და ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდა, საღამქროდ გამზადებულიაო.

ვანო თავდაპირველად დაიბნა. არ იცოდა, რა ეთქვა, რა გადაეწყვიტა. ბიჭი უძრავად იდგა მის წინ და ბავშვური, დიდრონი თვალებით მისჩერებოდა. გარაჟის გამგემ კარგად დაინახა, ყმაწვილი რაღაც უხერხულობასა თუ მორიდებულობას შეებოჭა, იმასაც უჭირდა რამე ეთქვა. ისიც შენიშნა გამომეტყველებაზე, რომ ეს პაწია ადამიანი არცთუ მთლად გამოუცდელი და ცხოვრებისაგან განებივრებული კაცი უნდა ყოფილიყო.

რატომღაც უჩვეულოდ მოეჩვენა ყოველივე ეს. კარგად დააკვირდა ყმაწვილს. იმისი შავი თვალები სრულებით არ შეეფერებოდნენ მის ხორბლისფერ კანსა და ღია ფერის თმას, რომელიც საკმაოზე მეტად ჩამოგრძელებოდა და ყურებს თითქმის უფარავდა. თავადაც არ იცოდა, რატომ, რაღაცნაირად საოცარი სიბრალული იგრძნო ამ ბიჭისადმი და დაყვავებით დაუწყო ლაპარაკი:

— შვილო, შენ გამოგაგზავნეს ქარბოსელას ქედზე წასასვლელად? იცი გზა-კვალი?

ბიჭი უცებ გამოცოცხლდა, ხალისიანად აუმოძრავდნენ გუგები.

— როგორ არ ვიცი. ის თივა ჩვენი მოთიბულია.

— როგორ თუ თქვენი? — გულწრფელად დაინტერესდა ვანო.

— ჩვენი... ინტერნატის ბიჭების... მთელი კვირა ვითბეთ... ზვინებდა შევკარით... მერე გვისაკენ დავაცურეთ, ადვილი მისადგომი რომ ყოფილიყო მანქანისათვის... ახლაც იქა დგანან... ერთი ათი-თორმეტი ბულული იქნება...

— ათი-თორმეტი? — ჩაფიქრდა უფროსი, — ეგ ცოტა არ არის!... დაეტევა ამ მანქანაზე?

ბიჭმა დაკვირვებით შეათვალიერა ძარა. ჩაფიქრდა.

თავი დააქნია, დაეტევაო, მერე დაუმატა:

— კარგად თუ დავტკეპნით, დაეტევა.

„თუ დავტკეპნით“, — ამის თქმა და გესლოს წამოვარდნა ერთი იყო. მთელი ეზო გააყრუა მისმა ღრიალმა:

— ერთი ამათ ვერ უყურებთ?.. გინდათ მე მატკეპნინოთ ის თივა?.. მანამდე არ ავიდგეთ გვერდები!.. მე შოფერი ვარ, მუშა კი არა... იქ ვინ დატვირთავს ამ მანქანას?.. ეს ღლაპი?.. — გადმოვიდა მანქანიდან, კარი მაგრად მიაჯახუნა და დემონსტრაციულად დაჯდა მოშორებით პირდაპირ მიწაზე. — თუ წამოვა ერთი-ორი კაცი, თორემ მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

— ბიჭო, გესლო!.. — კინალამ ფანჯრიდან გადმოვარდა ვანო, — იმ შენს ახალ ოჯახს გაფიცებ!.. აი, იმ



შენს პატარა ბაღს გაფიცე!.. ყელი არ გამომჭრა!.. აბა, სად გიშოვო ახლა ხალხი?.. მე ვინა მყავს?.. მუშები მე ვინ მომაშავა?.. წადი რა!.. არ მომხსნან, ბიჭო!.. ახლა ეგ თივა რომ ვერ ჩამოვიტანო, მაგას იმოდენა კუდს გამოაბამენ, იტყვიან, ქვეყანა დააქციაო... ამ ზამთარ ერთი ბოროლაც რომ მოკვდეს, მე დამბრალდება...

გესლო პრინციპულად დუმდა. არც კი უყურებდა მანვეწარ უფროსს. არც ფიცი ჭრიდა მასზე და არც მტკიცე.

ხვეწით არაქათი რომ წაერთვა, უფროსმა ფხვით მოიწია სკამი და ფანჯარასთან ჩამოჯდა. წარამარა იწმენდდა შუბლს, დროდადრო გაბოროტებით გახედავდა გიგოს, რომელიც იჯდა, ხელები მუხლებზე დაეკრიფა, პირში გრძელღერა სამყურა გაერჭო და უდარდელად წიწქნიდა.

ბიჭი მორიდებით მიუბრუნდა გიგოს:

— გესლო, თივას მე მოგაწვდი მანქანაზე, შენ გააჯერე და დაჯექე... —

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მძლოლი წამოვარდა და პირგამეხებული თავს წაადგა შემკრთალ ყმაწვილს:

— რაო, რაო?.. თივა არა და, შავი ქვა არ გინდა?.. — ერთი მაგრად დაუბრიალა თვალები, მე შენ მოგცემ „გესლოსო“, ჩაუბუნუნა და მძიმე ტორი ისეთი გამეტებით გაუშალა ყურისძირში, რომ ბიჭი შეტორტმანდა, თავი ძლივს შეიკავა, არ წაქცეულიყო. შიშითა და გაოცებით ახედა თავზე წამომდგარ ვეება ვაჟკაცს, რომელსაც ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა, და აწითლებულ ლოყაზე სიმწრით აიფარა ხელისგული.

ვანო გიჟივით წამოვარდა სკამიდან, რაფაზე ხელი დაჰკრა და მთელი ხმით შეუტია თავგასულ ახმასს:

— ე რა ქენი, შე ოხერო!.. თითისტოლა ბაღზე როგორ აწიე ხელი, ჰა, შე მუდრეგო!.. — და უცებ მიიმალა ოთახში. გიგო მისვდა, რომ უფროსი კარისაკენ გაქანდა გარეთ გამოსავარდნად. აქ რომ დახვედროდა გაცეცხლებულ ვანუს, კარგი დღე არ დაადგებოდა.

— არ წავალ, არსად არ წავალ — მაინც მთელი ხმით იყვირა, ვითომც ისტიბარი არ გაიტეხა, და ის იყო, ჭიშკარისაკენ გაეჩქარა, აქაურობას მოვშორდეს, რომ უცებ თვალი ჰკიდა ბიჭს და მონუსხულივით გაქვავდა. ამ დროს ვანოც გამოვარდა ეზოში და გიგოს მიეჭრა, მაგრამ, რომ დაინახა, როგორ გამმრალიყო ერთ ადგილას ეს ბრგე, ხარივით მოუქნელი გესლო და რა თვალთ უყურებდა ბიჭს, მოულოდნელობისაგან თავადაც შეცბა. შეჩერდა, შემართება ჩაუცხრა, მოდუნდა. დააკვირდა ბავშვს, რომელიც მდუმარედ იდგა თავჩაქინდრული ცალი ხელი ლოყაზე აუფარებინა, ცალი მოწყვეტილი ჩამოემგა. განსათბურა და ბოლჩა ხელიდან გავარდნობდა, ფხვბი ხე გამოიჯგა, თითქოს თავს იჭერდა, არ წაეცეულიყო.

მდუმარედ შეჰყურებდნენ ყმაწვილს. რაღაც გამო-

უვალი მდგომარეობის განცდა დაუფლებოდა ორთავეს. არ იცოდნენ, რა ექნათ.

პირველად ბიჭი შეირხა. მსუბუქად დაიწყო ნეტქე კენი ლოყა, მერე დინჯად, აუჩქარებლად აიღო თავისი მიმობნეული ნივთები, წელში გასწორდა და გიგოს ირიბად გახედა. გიგო შეეცადა ამოეკითხა, რა იყო ბავშვის თვალებში ჩაბეჭდილი: ზიზღი? სიძულვილი? მძვინვარება?.. იქნებ გულისტკივილი?.. კარგად ვერ გარკვია. ან რას გარკვევდა, თვალს ვერ უსწორებდა პატარას. ისე კი, გუმანით გრძნობდა, რომ ბავშვის თვალებში არც ზიზღი, არც სიძულვილი, არამედ რაღაც სულ სხვა, უფრო მაღალი, უჩვეულოდ ძლიერი და გაუტეხელი ნების ანარეკლი ღვიოდა.

და მართლაც, ბიჭმა თითქოს რაღაც სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო, მხნედ გასწორდა წელში, ერთი ამოიხვნეშა, ნელა შეტრიალდა და მტკიცე ნაბიჯებით წავიდა გიგოს სატვირთოსაკენ. აუჩქარებლად გამოალო კარი, კაბინაში ფუთა და ტანსათბურა შეაგდო, მსუბუქად ახტა საფეხურზე, საჭეს მიუჯდა, ენერგიულად მიიხურა კარი, მანქანა აამუშავა და დაძრა.

ვიდრე გაშტერებული გამგე და ზონზროხა გესლო რამეს მოისაზრებდნენ, მანქანამ გარაჟის ჭიშკარი გაიარა და გზაზე გავიდა. ახლა კი გამოერკვნენ ისინი და ადგილს მოსწყდნენ, გაედევნენ ტაატიტ მიმავალ ავტომობილს. ერთი ქოთქოთით ეძახდნენ ბიჭს, დააყენე მანქანაო, მაგრამ არავინ უსმენდათ.

გამგემ ჭიშკრამდე ირბინა. არაქთგამოცლილი შედგა და მანქანას დადევნებულ გიგოს მუქარით მიაყოლა: — შენი ბრალია ყველაფერი, გესლუავ! იცოდე, რამე რომ მოხდეს, შენ აგებ პასუხს!

ამან თითქოს ძალა შემატა გესლოს. როგორც იქნა, წამოეწია მანქანას, უკანა ბორტს ჩამოეკიდა და რის ვაი-ვაგლანით აბობლდა ძარაზე. მივარდა კაბინას და სახურავს ბრაგაბრუგი აუყენა.

მანქანა დადგა. კარი გაიღო. ბიჭმა საფეხურზე ჩამოინაცვლა და ძარაზე მდგომ მძლოლს ახედა. გესლოს არაფერი უთქვამს. ნაცემი, დამნაშავე ძალღვივით გამოიყურებოდა. დაბნეულობა და გაურკვეველი შიში სხეულში ისე გასჯდომოდა, ხმა ვერ ამოეღო.

ბიჭმა იგრძნო, რომ საფრთხე არ ემუქრებოდა და მბრძანებლური კილოთი ამოსძახა საქციელწამსდარ მძლოლს:

— მოდი, დაჯექი!.. ისედაც ბევრი დრო დაგკარგეთ! გიგო ერთბაშად გამოცოცხლდა. კიდევ გაუხარდა, კონფლიქტი რომ ამით დასრულდა. გამოსავალი უკვე ნაპოვნი იყო და ამიტომაც მორჩილად დაჰყვა ბიჭის ნებას.

— ჰო, ახლავე, კაცო!.. ამ წუთში!.. — ენერგიულად და თანაც შემრიგებლურად გამოეხმინა და თავისი ადგილის დასაჭერად მოემზადა.

ბიჭი უსიტყვოდ შებრუნდა კაბინაში და მეორე კედელში მიიკრუნჩხა. გესლო ძარიდან ჩამოხტა, კაბინაში



თავის ადგილზე დაჯდა, ორთავე ხელით ჩააფრინდა საჭეს და სახეგახსნილმა შვეებით ამოისუნთქა. უნდოდა ბიჭისთვის შეეხედა, მაგრამ ვერ გაბედა იქით თავის მიბრუნება. მანქანა დაქოქა და გზას გაუყენა.

ამოდენა ცარიელი მანქანა მიქროდა სოფლის ორი-ღობებში და უკან მტვრის ბოლქვებს ტოვებდა. გამვ-

ლელ-გამომვლელები ქოქოლას აყრიდნენ თავზე და ლებულ მძლოლს.

მთელმა სოფელმა იცოდა, ვინც მიაგვლევებდა თავის „რაშს“, მშვენიერად ცნობდნენ ამ დანჯღრეულ მანქანას და უკვირდით, კიდევ როგორღა სულდგმულობს ეს სვედამწვარიო.

— თავი გაგიხმეს, გესლო-ო!.. ერთი უყურეთ, რა ყოფით მიაქანებს, ქა, ამ ოხრად დასარჩენ გურზავიკსა!.. ააბოლა მთელი სოფელი!.. — წყევლა გააყოლა მანქანას წყაროსთან კოკების შესავსებად მდგომმა დედა-კაცმა.

გზადაგზა შემხვდური ძმაკაცები ღიმილით ეგებებოდნენ სოფელში თავისი უკულმართობით ცნობილ მძლოლს.

- გესლო, იცოცხლე!..
- გესლოს გაუმარჯოს!..
- საით, გესლუავ?..

ისმოდა შეძახილები აქეთ-იქიდან. მაგრამ სიტყვაძვირი გესლო ერთი ხელს თუ აიქნევდა საღმის ნიშნად, ეგ იყო და ეგ.

— ბიჭო, გესლო, დაგიბრუნეს მანქანა? — ვიღაც დროულმა კაცმა მოასწრო დაეძახა მისთვის და მანაც ამჯერად, როგორც იქნა, ამოიღო ხმა:

—ჰო, მაშა!.. — სიამაყე დაეტყო სახეზე და პირველად გაბედა შეეხედა ბიჭისათვის. ის მდუმარედ იჯდა. პირდაპირ იყურებოდა, ლოყას ჯერ კიდევ არ გაჰქრობოდა მძიმე ტორის ნაკვალევი.

მალე სოფელს გასცდნენ და აღმართიანი, მიხვეულ-მოხვეული გზებიც დაიწყო.


მზემ კიდევ უფრო მეტად დააჭირა. როგორც კი შენელდა მანქანის სიჩქარე, მხურვალმა ნიაემ დაუბერა სახეში. გადაყვითლებული, მომკილი პურის ყანები თითქოს ცხელი სუნთქვით ეგებებოდნენ მათ.

დასახლებულ ადგილებს რომ გასცდნენ და ვიწრო, უასფალტო გზაზე გავიდნენ, გესლომ, როგორც იქნა, გაბედა დაეძრა ენა:

- რა გქვია მაინცა, თქვი, კაცო!
- ბიჭმა თავიც კი არ მოაბრუნა, ისე მიუგო:
- ბესო.

გიგომ თავი ჩააქნია, გავიგეო, და საკმაო ხნით ისევ დადუმდა. კაცო, რომელსაც საერთოდ ხმას ვერ ამოაღებინებდი, ახლ რატომღაც ლაპარაკის იშტაზე მოსულიყო. ამით უნდოდა ჩამოერეცხა თავისი შერცხვენა, უმწეო ბავშვი რომ გალახა, გამოეძებნა რაღაც გზები შესარიგებლად, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, ვერა და ვერ იპოვა საერთო თანამგზავრთან. თანდათან უფრო და უფრო ექუფრებოდა სახე. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ამოლერდა:

— რა იყო, რა, შე კაცო, ეგეთი რა გავაკეთე... ერთი სილა რა ბედენაა? მა ჩემმა ძმამ, ამბაკომ, რაღა უნდა



თქვას? ისიც შენი ტოლაა... დღეში სამ-ოთხჯერ თუ არ გავასილაქე, ვერ მოისვენებს. კი შემომიბღვერს ხანდა-ხან, მაგრამ იცის, უარესი მოუვა და მაშინვე გაჩერდება ხოლმე. რომ არა ვტყვიცო, ის გაუკვირდება, თორემ ერთ სილაზე, აბა, რას იტყვის? შენ რაო, შენს უფროსებს შენთვის ჯერ არ უჭმევიათ ლავაში?

— არა! — მოკლედ მოჭრა ბესომ და განაწყენებულმა კვლავ მიაბრუნა თავი განზე.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— მართალია, დაგარტყი, — გაუბედავად დაიწყო გესლომ კარგა ხნის შემდეგ, — მაგრამ შენი ბრალდებაც რად დამიძახე ეგ სახელი? მე გესლო კი არა, გიგო მქვია. თუ მაინცა — გიგოლა. მა გესლო რაღა არი? გაგონილა?

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა. თითქოს ლაპარაკი უჭირსო, გულს ამოაყოლა რამდენიმე სიტყვა:

— მე რა ვიცოდით?.. ყველა ასე გეძახის და... მეგონა, ეგ იყო შენი სახელი... ბოდიშს ვიხდი.

— ასეთი სახელი სად გაგიგონია?

— ჩვენში რას არ გაიგონებ?.. ამას წინათ კაცი ვნახე, ლენტორი ერქვა. ჩემს სიცოცხლეში არ გამეგონა... იფიქრებ, სახელიაო?

— ლენტორიო? — გაიკვირვა გესლომ. თანაც გაუნარდა, იქნებ როგორმე აგვეწყოს საუბარიო, ამიტომაც შეეცადა უფრო გაენაწყვილებულიყო.

— ეგ, ალბათ, მეტსახელია, არა? — გაბედა და მეგობრულად შეხედა ბიჭს.

— არა, ნამდვილიაო, — უკვე შერბილებული ხმით მიუგო იმანაც და ოდნავ მოაბრუნა თავი მისკენ.

დაძახულობა თანდათან ნელდებოდა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მანქანა უკვე მთის ვიწრო აღმართებს შესდგომოდა და აქეთ-იქიდან გადმომდგარი ვეებერთელა მწვანეკალთიანი მთავორები საოცრად მიმზიდველ სურათს ქმნიდნენ. ჰაერი აგრილდა და ამსუბუქდა. ზევიდან ხელისგულივით მოჩანდა ზვრები და ბაღები, წითელკრამიტიანი სახლები, დაკლაკნილი გზები და არხები. წალკოტად გადაშლილი ქვეყანა უნებლიეთ იტაცებდა თვალს და რაღაც ამაღლებულ გრძნობას ჰბადებდა.

— ბიჭო-ოს!.. — გაოცებითა და აღტაცებით ამოიქშინა გიგომ და იქაურობას თვალი მიმოავლო. — ეს რა ყოფილა აქა, კაცო-ო!

— პირველად ხარ? — იკითხა ბესომ და მთლიანად შემობრუნდა თანამგზავრისაკენ. მის თვალებში წყენის ნატამალიც აღარ დარჩენილიყო.

— პირველად ვარ... — რაღაც დანანებით ჩაილაპარაკა გიგომ. — სად არ ვყოფილვარ, და ერთხელ აქ არ ამოვსულვარ, გაგონილა?.. სხვისი მხარე მომივლია, ჩვენი კი არ მცოდნია. — ხმას აუწია, თავის თავს გაუჯავრდა: — ბიჭო, შე ყურუმსალო!.. ამოდი, ნახე რა!.. ამაზე უკეთესი რა უნდა ნახო, რეგვენო!.. — ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. უფრო ნელ სიჩქარეზე გადართო მან-

ქანა და მალე აზიდულ მთებს ახედა. — ხო-ხო-ხო! შენი ჭირიმე, შენი!.. აბა, ეგ არის, რაც არტყვიან უცებ ენად გაიკრიფა ეს სიტყვაძუნწი კაცი. ნებოდნენ, იქაურობა რომ მიატოვებინეს სოფლებს, ბევრს არ უნდოდა, ტიროდნენო, და არ მეჯერა. ჯავრიც მომდიოდა მათზე, რა ატირებთ მაგ ბრიყვებს-მეთქი. ბარში დასახლდებიან, ადამიანურად იცხოვრებენ. მეტი რა უნდათ?.. მაგრამ, ნახე შენა, აქ თურმე რა ყოფილა!..

მანქანა ძლივს აბობლდა ერთ დაფერებულ გზაზე და მეორე მხრისკენ რომ გადავიდა, ჩვენს მგზავრებს თვალწინ პატარა სოფელი გადაეშალათ ქვიტიკირის სახლებითა და ეზო-ყორებით. გიგომ გაკვირვებით გამოხედა ბიჭს, ეს კიდეც რაღააო. ისიც მიუხვდა, დანანებით ჩაილაპარაკა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია სოფლისათვის:

— მიტოვებულია... ორი წელი იქნება, რაც უკანასკნელი ოჯახი წავიდა აქედან... აღარავინაა...

მანქანა დუნე-დუნედ უახლოვდებოდა დაცლილ სოფელს. შორიდან იფიქრებდით, აქ ყველაფერი ძველებურად თავის ადგილას არისო, მაგრამ პირველ სახლს მიადგნენ თუ არა, უსიამოვნო სიცარიელე შემოეფთათ.

ნელა მიდიოდა სოფლის შუკებში მანქანა და მონოტონური ღულუნით აღვიძებდა ნასახლარებს. თითქოს კვნესით შემოჰყურებდნენ მორღვეული ჭიშკრები და ფიცრით აჭედილი კარ-ფანჯრები, დაშლილი ყორები და დანგრეული სოფლის წყარო, რომელშიც ჯერ კიდეც უხვად მოედინებოდა მთის ანკარა, ცივი წყალი.

მანქანა წყაროსთან შეაჩერეს და გადმოვიდნენ. გიგო უცნაურობათა ქვეყანაში მოხვედრილივით მოჯადოებული იცქირებოდა აქეთ-იქით, ხან აღმა, ხან დაღმა. ათვალეირებდა ყველაფერს და დანანებით აქნევდა თავს.

ძილისპირული და სიწყნარე სუფევდა ირგვლივ. შუადღის ცხელი მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ნასოფლარს და გესლოს ასე წარმოედგინა, თითქოს სოფლებს ამ ქერეთო სიცხეში ჩვეულებისამებრ ნასადილევს თავი გრილი ქვის სახლებში შეუფარებიათო.


— ეჰე-ჰე-ჰე!.. — უცებ გასძახა გაურკვეველი მიმართულებით და ყური მიუგდო თავისსავე ხმას, რომელიც ექოდ დაუბრუნდა წამის შემდეგ.

საიდანღაც ძროხის ზმუილი შემოესმათ.

გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ყურებს არ უჯერებდნენ. გაპარტახებული, მიტოვებული ნასოფლარი, სადაც თავი რაა, ალბათ, ისიც კი არ დარჩენილა, და ძროხა?! საიდან?.. ხომ არ მოეყურათ?

ბესო ყორეზე შეხტა. ყური მიუგდო, იქნებ გავიგო, საიდან მომესმა ძროხის ზმუილიო. რომ ველარაფერი გაიგონა, თავად გაენმინა პირუტყვს:

— მო, მო, ბოჩოლ!.. მო!..



პასუხი იქვე ახლოდან მოისმა. ბესოს სიტყვა არ დაუძრავს, ვარაუდით გაიქცა იქითკენ, სადაც ძროხა ეგულებოდა. გიგოც ფეხდაფეხ მიჰყვა. მინგრეულ-მონგრეულ ყორეებზე გადადიოდნენ, გზას იმოკლებდნენ. რამდენჯერმე ისევ გამოსძახათ პირუტყვმა და დადუმდა, მაგრამ უკვე ძნელი აღარ იყო მისი პოვნა. სულ ცოტაც და ერთ ეზოში თავს წაადგნენ მომცრო ტანის მწითურ ძროხას, რომელსაც, სახლის ჩრდილში მიმდგარს, თავი აელირა და მათკენ იცქირებოდა უცნაურად მავედრებელი თვალებით.

ბესო მაშინვე ჩახტა ეზოში და მიუახლოვდა.

— მო, მო, ბოჩოლ!.. მოდი ჩემთან, მშვენიერო, ნუ გეშინია.

პირუტყვმა დანდობილად მიუშვა ბიჭი. ბესომ დრუნჩი მოუქექა, ჯიქანი მოუსინჯა, ღილაბი დაუფხანა.

ყორეზე მომდგარი გიგო გაოცებით მისჩერებოდა ამ სურათს. მისთვის ახლა ყველაფერი უცნაური და უჩვეულო იყო. ამ წუთს საიდანლაც ერთი დევი ან ჭინკა რომ გამომძვრალიყო, არ გაუკვირდებოდა.

— საოცარია, — მიუბრუნდა მას ბესო, — ეს ძროხა ამ უკაცრიელ ადგილას საიდან გაჩნდა?

— იქნებ კიდევ ცხოვრობს ვინმე ჯერაც, ა?.. — იღუმალი ხმით წაიჩურჩულა გიგომ და არემარე შეათვალეირა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ნიშანწყალიც არ იყო აქ ადამიანის არსებობისა.

— შეიძლება, ეს ძროხა დაკარგული იყო, როცა პატრონი აქედან წავიდა, — თავისი მოსაზრება გამოთქვა ბიჭმა, — მერე გამოჩნდა, სახლში მოვიდა.. თავს თავისით ირჩენს ამოდენა მინდვრებში... მაგრამ. — ჩაფიქრდა იგი, — ზამთრობით რაღას შვრებოდა?..

ასე გაოცებულებმა მიატოვეს იქაურობა და მანქა-

ნასთან დაბრუნდნენ. ბესომ თავისი ბოლჩა მონახა, გახსნა და წყაროს პირას მწვანეზე გაშალა. სუფრის ქათქათა ტილოში გახვეული საგზალი დააწყო ზედ და უხმოდ ანიშნა გიგოს, ჩამოესხდეთ, ცოტა წავინემსოთო. გიგომ ცნობისმოყვარეობით შეათვალეირა ღარიბული სუფრა — ცხვრის ყველის ნაჭერი, ორად გადატეხილი ერთი შოთი, ორი მოხარშული კვერცხი და ერთი დიდი პამიდორი. შეფიქრიანებით მოიქექა კეფა, აიმრიზდაიმრიზა უგემურად და ისე ჩაახველა, თითქოს საჭმელად კი არა, სამღერად ემზადებო.

— მდა-ა!.. — ჩაიბუნუნა თავისთვის და შემწყნარებლური მზერით გადახედა ბიჭს, რომელიც უკვე შესდგომოდა საქმეს და კვერცხს ფცქვნიდა. — ეს კი არ გამსხენებია, დალახვროს ეშმაკმა!.. ისე, ჩვენ თუ გვიან საღამოს უნდა დავბრუნებულიყავით, კი უნდა მეფიქრა, რომ ამდენ ხანს მშვიერი ვერ ვიქნებოდით. — თვალი მოავლო იქაურობას და დაუმატა: — მე შენ ვეტყვი, აქ ნახავ რამეს, დუქანია სადმე თუ სასადილო?

— ინებეთ, ბატონო! — საგზალზე მიუთითა ბიჭმა.

გესლოს ცალყბად გაეცინა.

— ბატონო არა, უფალო არ გინდა?.. გიგოლა დამიძახე!.. — მბრძანებლურად დაუმატა და, სუფრას, თითქოს ეპარებო, ისე მიუცუცქდა. ერთი ლუკმა რომ გადაყლაპა, უცებ რაღაც გაახსენდა, სასწრაფოდ წამოხტა, მანქანასთან მივიდა, დასაჯდომს საზურგე გამოაცალა და იქიდან ძველებური ლიტრიანი ამოაძვრინა არყით სავსე. შეანჯღრია, ზელმართა და გაუჭვრიტა, როგორ თამაშობდნენ ერთმანეთს მიწყობილი ძუჭვები. საიდანლაც პატარა თლაშოც გააჩინა და ის იყო, სიამის მომლოდინე კაცის ღიმილით ბოთლის გახსნა დააპირა, რომ ბიჭმა შეაჩერა.

— მომეცი ეგ ჭიქა აქა!

ჭიქა რატომღაც უსიტყვოდ გადასცა, თითქოს ის აინტერესებდა, რა უნდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას.

ბესომ წყაროს წყლით შეავსო თლაშო, წყალი უმცროსისააო, თქვა და ისე ნელა, სვენებ-სვენებით გამო-

ცალა პაწია ჭურჭელი, თითქოს ვეებერთელა ყანწი და-
ეცალოს. მერე ისევ შეავსო და გიგოლას გაუწოდა.

— აი, ეს დალიე! არაყი არ შეიძლება, სამსახურში
ხარ!.. — ისეთი კილოთი თქვა, რომ ამოდენა კაცი ძა-
ლაუნებურად დათანხმდა, დაუაზრებლად გამოართვა
ჭიქა და ისე დანთქა, თითქოს მწარე არაყი გადაეკ-
რას. დაბნეული იყურებოდა, თითქოს, ეს როგორ და
რანაირად, ასეთი რამ განა დაიჯერებო? ვერ გადაეწ-
ყვიტა, რა მოემოქმედებინა, ხელში შერჩენილი სავსე
ბოთლი და თლაშო საშუალებას არ აძლევდა ლუკმა
აელო.

ბესომ გამოიყვანა მდგომარეობიდან. გამოართვა
ბოთლი, წამოდგა და თავის ადგილას დააბრუნა. რომ
მობრუნდა, დაინახა, გაცეცხისა თუ გაოგნებისაგან გა-
ბეცებული გიგოლა როგორ გაშტერებით მისჩერებოდა.
ისე დარჩენოდა გაშვერილი ჭიქა ხელში, თითქოს ვინ-
მეს ემუდარებოდა, ერთი ყლუპი გადამაკვრევიყო. ბესომ
ჭიქა ჩამოართვა, წყლით შეავსო და კვლავ გაუწოდა. გა-
დაკრა, სახელოთი მოიწმინდა პირი და ანგარიშიუცემ-
ლად შეუდგა ჭამას. თვალი იქეთ გააპარა, სადაც არაყი
ეგულეებოდა, მაგრამ ვერ კი გაებედა ვერაფრის თქმა.
ბიჭს შეხედა, რომელიც მშვიდად ილუკმებოდა, და უცებ
გული მოუვიდა თავის თავზე.

„ე ვინაა, — გაიფიქრა გუნებაში. — ერთი შეხედე,
როგორ ამიყვანა ამ მტკაველა ბიჭმა ამოდენა კაცი!..
თითქოს ჩემი უფროსი იყოს... არა, მეც რომ უსიტყვოდ
გავუგონე!“

გესლო ოდესმე ვისმეს აპატიებდა, ხელიდან სასმე-
ლი გამოეტაცა და დაემალა? ცოლი რას მიქვია და,
დედაც კი ვერ გაუბედავდა ამას... ეს კი?.. ვერ უყურებ
ამ კაფანდარას, რას ბედავს?.. მაგრამ, რომ ვერც ბრა-
ზობს ეს აყვია გიგოლაც? თითქოს გული შეცვლოდეს.
უნდა და ვერ ბრაზობს, რატომღაც ენაც არ ემორჩი-
ლება.

ბიჭმა ერთი კვერცხი შეჭამა, ცოტა ყველი დააყოლა,
წყლით პირი გაისველა და ხელები დაიბერტყა.

— ეგაა სულ შენი ჭამა? — გიგოლამ მხოლოდ ეს მო-
ახერხა ეთქვა.

— მეტი არ მინდა. შენ მიირთვი, — თქვა ყმაწვილმა
და განზე გადაგა. სოფელს გადახედა, მთებს შეავლო
თვალი და კმაყოფილმა ისე გაიღიმა, თითქოს ვიღაც
უხილავს შესცინაო.

გიგოლა გაუბედავად ჭამდა. მთელი ეს სტრატეგია
თვის ყბის ერთი მოქნევაა, მაგრამ რა ქნას? არადა,
მცირე ლუკმამ მადა გაუღვიძა. მიჰყვა, მიჰყვა და პური
სულ შემოათავდა ხელში, ყველიც გაუქრა.

— ახლა ეგ ვიმყოფინოთ და... — ლუკმის გადაუყლა-
პავად თქვა მან და ავი თვალთ გახედა შემორჩენილ
კვერცხსა და წითლად ავარვარებულ პამიდორს. — სა-
ლამოზედა, რომ ჩავბრუნდებით, ბედოვლათას სასადი-
ლოში გავჩერდეთ... ერთი კარგი პური ვჭამოთ მე და
შენა... მაშინ ხომ დამალევიანებ, ჰა? — სცადა ღიმილით
გაეფანტა თავისი უხერხულობა თუ შერცხვენა.

ბესოს არც კი მოუხედავს მისკენ, ისე გამოსძახა:

— მაშინ ჰო!.. — და მანქანაში ჩაჯდა, რომ იქნებ
მძლოლიც აჩქარებულიყო ცოტათი.

გიგოლამ ერთი ხელის მოსმით მოასუფთავა სუფრა
და გზასაც გაუდგინა.

ის იყო, ნასახლარებს გასცდნენ, რომ შენიშნეს, ხე-
ვიდან ვიღაც კაცი ამოდოდა სოფლისაკენ. ფეხით მო-
უძღვოდა ცხენს და ნელა მოაბიჯებდა.

იმდენად უჩვეულო იყო აქ ცხენიანი კაცის გამოჩენა,
რომ გიგოლამ მაშინვე დააყენა მანქანა და ორთავენი
შეთანხმებულებივით ძირს ჩამოხტნენ.

— გამარჯობათ, კაცებო!.. — მიუახლოვდა მათ ცხე-
ნოსანი და შეჩერდა.

დამხვდურებმაც სალმითვე უპასუხეს.

— აქეთ სადა ჰყოფილხართ, სით გაგიწევიათ? —
დაინტერესდა უცნობი. — სულიერი კაცი აქეთ აღარაა
და სოფელი, სტუმრად წამოსულეხსაც არა ჰგევხართ.

— ჩვენ ქარბოსელაზე მივდივართ, თივაა იქ დამზა-
დებული და უნდა ჩამოვზიდოთ, — უპასუხა გიგოლამ.
მასაც უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ისევ მოსულმა
დაასწრო:

— ქარბოსელამა კარგი თივა იცის, მაგრამ ვინ მო-
თიბა იქ ბალახი, კაციშვილი რომ აღარა ცხოვრობს მან-
დეთ?

— ჩვენ მოვთიბეთ, — ამაყად წადგა წინ ბესო, —
ინტერნატის ბიჭებმა... ჩემი რაზმი მყავდა... სოცშეჯიბ-
რი გვაქვს... ყველაზე მეტი ჩვენ დავამზადეთ, მაგრამ
ჩამოტანა გაჭირდა. ოთხი მანქანა ჩავზიდეთ ადრეულა...
მერე ტრანსპორტის შოვნა გაძნელდა. ახლა ერთი მან-
ქანაღა დარჩა და, აი, ესეც მიგვყავს, — მანქანაზე
ანიშნა.

გაბრძანება შემდეგ ნომერში





სხვა ოცნების მწვერვალები

მოდი, ხელი გადაგვიო,
შვილის ტოლას გესაუბრო.
— რაზე?
— შენგან რას მოელის
აღამის ძის ეს საუფლო.
მინდა: მაშინ, სწორედ მაშინ,
წლებს ცხენივით რომ გახედნი —
ქარშიც, დარშიც, წვიმის ღვარშიც
გქონდეს უკან მოსახედი.
მოიხედავ... უნდა ჩანდეს
წლები, როგორც თბილი შუქი.
ველარაფერს დაინახავ,
ღმერთმა ნუ ქნას, ველარ, თუკი...
თავიდანვე თუ არ იცი,
რაა სიტყვა, რაა ფიცი,
ანლა თუ არ იამაყე
შენი ხალხით, შენი მიწით...
თავიდანვე თუ არ გიყვარს
დედაშენი, მამაშენი,
ენა შენი, ერი შენი,
ბევრი რამეც დანარჩენი...
გმირობაა კარგი სწავლა,
კარგი შრომაც გმირობაა,
ორივე კი საქართველოს
ერთგულების პირობაა!

შენ გვონია მარტო ხმალით,
მარტო ბრძოლით, მარტო ომით? —
ეს ქვეყანა წინაპრებმა
ჩავგაბარეს კიდეც — შრომით.
გუშინდელ დღეს ვესესხები:
ეს ლექსები, ეს ჰესები —
უშრომელად არ მოსულა!
ეს ანძები და ტაძრები —
რომ უმღერი გატაცებით, —
უშრომელად არ მოსულა!
ეს ტყეები უღრანები,
ფიჭვნარები, მუხნარები —
უშრომელად არ მოსულა!
ამ მიწას და ამ ბუნებას
შენც ამშვენებ,
შენც აშენებ,
ამიტომაც ხალხის საქმეს
შენი ხელიც შეაშველე.

შეხე, თივა მოაქვთ ურმებს,
ტრიალებენ იქ ქალები...
შენი ხელით დააპურე
ღვინები, წიქარები.
მამას რაღას ელოდები, —

აქთანდელ გუგუნიძე

მერე რაა, რომ ხარ ბავშვი,
შენი ხელით რუ გასჭერი
და მიუშვი წყალი ბაღში.
გზა გამრუდდა? ქვა და ღორღი
ჩამსკდარ ორმოს დააყარე;
შენი ხელით ნერგი დარგე.
ბარემ შენვე გაახარე.
შენი ხელით შეაკეთე
ჭიშკარი თუ ეზოს ღობე.
ვის აჯობო? ტოლს აჯობე,
ერთს აჯობე, ორს აჯობე.
დღენიდაგ სიკეთის და
სიყვარულის ნერგი დარგე.
სადღესოდ თუ არ ვარგხარ,
სახვალიოდ ვერ ივარგებ.

წლებითა და ფიქრით სავსე —
ვეტერანი მიდის გზაზე...
განვლილი აქვს მწარე გზები,
ღრუბლიანი, ეკლიანი.
მე რომ მკითხო,
ეს იმ წლების
ფეხადგმული ძეგლი არი.
წამლისათვის მიდის იქნებ,
ან სწყურია საუბარი,
ან წასაკითხს ეძებს წიგნებს
და უსუსტებს მუხლებს ქარი.




იქნებ ამ კაცს, ან მის ეზოს
უნდა შენი ყურადღება,
იქნებ დაგაინტერესოს
მისმა ძველმა სურათებმა.
იქნებ ბევრზე დაგაფიქროს
გაცრეცილმა წერილებმა,
იქნებ თვითონ უნდა გითხრას
და, უბრალოდ, ერიდება.
სხვამ გასწავლოს უკეთესად,
მე არავინ მეგულება —
რაა ქვეყნის სიყვარული,
რაა ქვეყნის ერთგულება.
მამულისთვის უანგაროდ
სისხლი ღვარა, ოფლი ღვარა.
ჩვენი ქვეყნის გაზაფხული
მისმა ხელმაც მოიყვანა.
მისი ღვაწლი ხალხის გულში
მნათობივით საჩინოა;
დღესაც ისე, როგორც გუშინ,
ქვეყნისათვის საჭიროა.

რა ოცნების მწვერვალს მისწვდა
მტრედისფერი შენი სული...
შენი ცა და შენი მიწა
არ გენახოს შენისლული.
კაცი მხოლოდ საქმით ფასობს,
განა წლებით, ასაკითა?
დროზე უნდა მოემზადო,
თუ მწვერვალზე ასვლა გინდა.
იმას რა სჯობს, როცა ხედავ
მიზანს და გზას იქ მისასვლელს;
დროზე, თორემ ნატვრის ხესთან,
არვინ იცის, ვინ მიგასწრებს.
დროზე, თორემ ეს ბავშვობა
სულ ბავშვობა არ იქნება.
მაღე სხვასაც დასჭირდება.
შენი რჩევა-დარიგება.

დღეს გიხმობენ საყვირები,
დოლები და დაფდაფები...
გაირჯები? — ის დროც მოვა,
შენი შუბლის დადაფნების.
ნასიზმრალს და ნაოცნებარს
სწავლითა და შრომით ნახავ.
გაიმარჯვებ, შენს მწვერვალზე
როცა შენი ფეხით ახვალ.
ნახავ სულ სხვა მწვერვალებსაც
გამორჩეულს ელვარებით,
და შორიდან კვლავ მოგიხმობს
სხვა ოცნების მწვერვალები.

კომტორინა - კონსურსი



პირველი ტურის პასუხები

1. 1941 წლის 30 ივნისს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საგანგებო უმაღლესი სახელმწიფო ორგანო — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც მიენიჭა მთელი ძალაუფლება.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი.

2. სიმღერა „წმიდათაწმიდა ომი“. რომელიც ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის მომწოდებელ ნადარად იქცა, ომის პირველსავე დღეებში გაისმა.

სიმღერის ტექსტი პოეტ ვ. ლებედევ-კუმაჩისაა, მუსიკა — ა. ალექსანდროვისა.

ამ მრისხანე სიმღერას იმთავითვე მხარში ამოუდგა ქართველი მხატვრის ირაკლი თოიძის შთამბეჭდავი ნახატი „დედა-სამშობლო გვეძახის!“ ამ მკაცრად წარბშეკრული დედის მოწოდებას ურიცხვი ახალგაზრდა გამოეხმაურა, იარაღს ხელი დაავლო და მტკიცე რწმენით მიაშურა ფრონტს — გაენადგურებინა ფაშისტური ურჩხული.

3. გმირობის, მამაცობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის უბადლო მაგალითად იქცა ლეგენდარული ბრესტის ციხესიმაგრის დაცვა.

თითქმის მთელი თვის განმავლობაში იცავდნენ მას საკუთარი მკერდით მე-6 და 42-ე მსროლელ დივიზიონთა ქვედანაყოფების, მე-17 სასაზღვრო რაზმისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 182-ე ცალკეული ბატალიონის მეომრები, სულ — სამნახევარი ათასი მეგრძოლი და მეთაური. მათ წინააღმდეგ გერმანული არმიის მრავალრიცხოვანი გაძლიერებული კორპუსი იბრძოდა.

ბრესტის ციხესიმაგრის დაცვა საბჭოთა მეომრების მასობრივი

გმირობის ბრწყინვალე მაგალითია.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამ ციხესიმაგრეს მიენიჭა „გმირი სიმაგრის“ საპატიო წოდება და დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით.

სხვადასხვა ჯილდოთი აღინიშნა ბრესტის დამცველთა გმირობა და მამაცობა. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ კაპიტანი ვ. შაბლოვსკი, უფროსი პოლიტხელი ნ. ნესტერჩუკი, ლეიტენანტი ი. აკიმოჩკინი, უმცროსი პოლიტხელი ა. კალანდაძე, რიგითი ჯარისკაცი პ. აფხაზავა, პოლკის შვილობილი, 15 წლის პეტია კლიპა და სხვები.

4. სამამულო ომის ორდენი პირველი ორდენია, რომელიც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა დიდი სამამულო ომის დროს. ბრძანებულება 1942 წლის 20 მაისს გამოიცა.

ორდენი ორი ხარისხისაა, თითოეული მათგანი ენიჭებოდა ჩადენილი მამაცობის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის პირველი კავალრები იყვნენ ხარკოვის მიმართულებით გაჩაღებულ ბრძოლებში თავგამოჩენილი არტილერიისტები, კაპიტანი ი. კრიკლი, უფროსი სერჟანტი ა. სმირნოვი, უმცროსი პოლიტხელი ი. სტაცენკო, სერჟანტი ა. ელიზაროვი; მეორე ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ სერჟანტები ს. ჟარკო და გ. ნემფირო, რიგითი ჯარისკაცები ნ. გრიგორიევი, ი. პეტროვი და სხვები.

5. დიდი პატრიოტული თაოსნობა



ბა იყო საქართველოს მშრომელთა მიერ თავიანთი დანაშოგის შეტანა სახელმწიფოს თავდაცვის ფონდში. 1942 წელს სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ და 1943 წელს — თვითმფრინავთა ესკადრია „საბჭოთა საქართველოს“ შესაქმნელად.

1944 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს ნახევარი მილიონი მანეთი ფულად და სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. საქართველოს მშრომელთა თავიანთი დანაშოგიდან სახელმწიფოს თავდაცვის ფონდში სულ 8 მილიარდ 170 მილიონი მანეთი შეიტანეს.

6. ომის პირველსავე დღეებში საქართველოს კომპარტიამ ფრონტზე გაგზავნა თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი — 52 600 კომუნისტები. უფროსი მეგობრების გვერდით იბრძოდა 150 000 კომკავშირელი. სულ კი ფაშისტების წინააღმდეგ გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში საქართველოს 700 000 წარგზავნილი მონაწილეობდა. მათგან 300 000 გმირული სიკვდილით დაეცა მოსკოვთან თუ ლენინგრადთან, ყირიმში თუ კავკასიონზე, პრადის თუ ბერლინის მისადგომებთან...

250 000-მდე მებრძოლი ჩადენილი გმირობისა და მამაცობისათვის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო მათგან 164 ვაჟკაცს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

7. „კატიუშა“ პოპულარული სახელწოდებაა რეაქტიული არტილერიისა, რომელმაც სამამულო ომის ფრონტებზე განსაკუთრებით ისახელა თავი. მისი უჩვეულო სიმძლავრე და საბრძოლო ეფექტიანობა მრავალჯურვიანობითა და შორ მანძილზე მასირებული დარტყმის უნარიანობა გაპირობებული.

1941 წლის 14 ივლისს „კატიუშას“ ბატარეამ პირველი ზალბი დაატეხა თავს ორშის რკინიგზის სადგურში მდგარ გერმანულ ეშელონებს. ზალბმა მძლავრი აფეთქებები და მძვინვარე ხანძარი გამოიწვია. ახალი, უცნობი იარაღის დარტყმამ გააოგნა ფაშისტები, ყველა პანიკამ მოიცვა. მტერმა აურაცხელი ზარალი განიცადა.

ამ ბატარეას კაპიტანი ი. ა. ფლეროვი მეთაურობდა.

8. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გმირი და მრავალი ორდენის კავალერი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე. იგი დაიბადა 1903 წლის 12 ნოემბერს სოფელ ხვარბეთში, ოზურგეთის მაზრაში (დღევანდელი მხარაძის რაიონი). 1922 წელს დაამთავრა ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლა, 1923 წელს—მეთაურთა დახელოვნების ლენინგრადის კურსები. ომის წლებში მეთაუ-

რობდა მსროლელთა კორპუსს, არმიის არტილერიას, იყო 46-ე, 47-ე, მე-18 არმიების სარდალი. ორმოცი წლის ასაკში გენერალ-პოლკოვნიკი გახდა. იბრძოდა მინსკთან, დნებრზე, ტულასთან, მოსკოვთან, ნოვოროსიისკთან და სხვაგან. 1944 წელს მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში. დიდუბის პანთეონში.

9. სამშობლოს დასაცავად გამართულ ბრძოლებში თავი ისახდღეს ნორჩმა პიონერებმაც. ხუთ მათგანს, პარტიზანული ბრძოლების აქტიურ მონაწილეებს — ლეონიდე გოლიკოვს, ვალენტინ კოტიკს, მარატ კაზეის, ალექსანდრე ჩეკალინსა და ზინაიდა პორტნოვას — საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

მათი გმირობის შესახებ დაწერილებით შეგიძლიათ წაიკითხოთ წიგნში «Подвигу—жить! «Издательство «Молодая гвардия», Москва, 1981 г.

ვაორე ტურის კითხვები

1. არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში კავკასიის დამცელებმა. გვიამბეთ, რა იცით მარუხის უღელტეხილზე გამართული ბრძოლების შესახებ.

2. უამისტური აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გამართულ ბრძოლაზე დაწერილია ათასობით წიგნი და გადაღებულია უამრავი მხატვრული ფილმი. დაასახელეთ თქვენი საყვარელი წიგნი და კინოფილმი, რომლებიც ომის თემას ეძღვნება. რაზე მოგვითხრობენ, რა მოვლენებს ასახავენ ისინი?

3. ომის პირველი დღეებიდანვე მტრის მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე პარტიზანული ომი გაჩაღდა. გვიამბეთ, რა იცით ე. წ. „რეღსების ომის“ შესახებ? როგორი იყო მისი შედეგები?

4. ამ ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ ლეგენდარულ საბრძოლო

მანქანას. რა იცით მასზე? ვინ იყვნენ მისი შემქმნელები?




5. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატიო ჯილდო სამამულო ომში. რა ჯილდოა ეს? როდის დააწესეს? დაასახელეთ ქართველები, რომლებიც ამ ორდენის სრული კავალრები იყვნენ.

6. სამამულო ომის ისტორიაში ერთ მომენტს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ წელს, როცა ეს ამბავი მოხდა, „დიდი გაოდატების წელი“ ეწოდა. რომე-



ლი წელი იყო ეს და რა მოხდა მასწინ? დაასახელეთ „დიდი გაოდა-



ტების“ უმთავრესი შედეგები.
7. გამარჯვების დაჩქარებაში მნი-

უზანები ზიზინაძე



შენელოვანი წვლილი შეიტანეს „უჩინარი ფრონტის“ მებრძოლებმა — საბჭოთა მზვერავებმა. ფოტოსურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი ლეგენდარული მზვერავის პორტრეტი. ვინ არის იგი? მოგვიყვით მისი გმირობის ამბები.



8. გმირულად იბრძოდნენ ქერჩელტიგენის, ყიტომირ-ბერდიჩევის ოპერაციებში მე-18 არმიის მეომრები. რა იცით მათი საბრძოლო გზის შესახებ?

9. მშობლიურ ზეცას არაერთი ქართველი მფრინავი იცავდა. სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთ მათგანს. ვინ არის იგი? გვიამბეთ, რა იცით მასზე.



10. მოგვიყვით, როგორ სცემენ პატივს თქვენს ქალაქში თუ სოფელში შინმოუსვლელთა ხსოვნას. დაუკეთესო პასუხებს გამოვაჭყეყნებთ.

ს აზაფხულის გრილი ზღვაური მძლავრად აფრიალებდა ანძებზე მიმაგრებულ ალმებს, ზეიმობდა მთელი სევასტოპოლის ყურე და წლევანდელ ზეიმს განსაკუთრებული სილამაზე და იერი ახლდა. საკავშირო ჩემპიონატი აფროსნობაში ლეგენდად ქცეული ქალაქის მტრისაგან განთავისუფლების საიუბილეო თარიღს — მე-40 წლისთავს ეძღვნებოდა. ალბათ ამიტომაც ყველა მონაწილე განსაკუთრებული ბრძოლის უინით ჩაება ზღვის სტიქიასთან ასპარეზობაში. შეჯიბრებაც ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — ის, ვინც ბოლომდე შემორჩა შეჯიბრებას, 7-ჯერ უნდა გასულიყო ბობოქარ ზღვაში (თუ ქარის სიმძლავრე ორ ბაღზე ნაკლებია, შეჯიბრება არ ტარდება). ყველას უნდოდა მოეპოვებინა ოქროს მედალი. რთულ პირობებში მოხვეჭილი ჯილდო ხომ ორმაგად საპატიოა. და აი, ეს ურთულესი რეგატა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის წამყვანი ძალები მონაწილეობდნენ, ქართველი აფროსნის გურამ ბიგანიშვილის გამარჯვებით დამთავრდა.

ქართველი იახტსმენის გამოსვლებს ყველაზე უფრო თბილისის ერთ-ერთი უბნის ბიჭები გულშემატკივრობდნენ — ისინი მისივე სახელობის კლუბის წევრები არიან.


აი, სწორედ ამ კლუბის ცხოვრებას ასახავს ეს წერილი.

ახლა ჩვენში სახელოვან ქართველ სპორტსმენთა მრავალი კლუბია, მაგრამ ეს, „ალისფერი იალქნები“ რომ ჰქვია, გამორჩეულად უყვართ ბიჭებს. ვიდრე ამ კლუბის სანაქებო საქმიანობაზე ვიტყვოდეთ, გავაცნობთ შესანიშნავ აფროსანს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გ. ბიგანიშვილს.

სპორტის გულშემატკივრებს ბევრი რამ სმენიათ მასზე. გ. ბიგანიშვილი საკავშირო ჩემპიონატების

გურამის ქალს ბისუნიკო, ვიჭეკო!

ორგზის გამარჯვებული, მრავალი საერთაშორისო და საკავშირო რეგატის პრიზიორი და ჩემპიონია. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ გ. ბიგანიშვილის დიდი სპორტული გზა თბილისის ზღვით დაიწყო. სახელოვანი იახტსმენი სიამაყით ამბობს, რომ სწორედ კლუბ „ალისფერი იალქნების“ დღევანდელ წევრთა ტოლი იყო, როცა პირველად მიაშურა თბილისის ზღვას და იალქნიან ნავში ჩაჯდა. ამიტომ უყვარს მას ასე ძლიერ კლუბის აღსაზრდელები, რომლებიც თავისი ყრმობის წლებს ახსენებენ; მათთან ყოველი შეხვედრა საკუთარ ბავშვობასთან შეხვედრაც არის. ასეთი შეხვედრები კი ხშირად იმართება. როგორც კი გ. ბიგანიშვილი შეჯიბრებიდან თბილისში ბრუნდება, მაშინვე კლუბს მიაშურებს და თავის ნორჩ მეგობრებს განვლილი ასპარეზობის



პერიპეტტიების შესახებ უყვება. მაგრამ ეს შეხვედრები მარტო მოგონებათა საღამოები არ განლავთ — გ. ბიგანიშვილი კლუბის წევრებს სისტემატურად უტარებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს.

კლუბი — „კაიუტ-კომპანია“

სულ რამდენიმე წლის წინათ აქ საქვამე იყო და სახლის მკვიდრთ კარგად ახსოვთ, რა უსუფთაობა სუფევდა მის გარშემო, ახლა კი სულ სხვა სურათია. როგორც კი „ალისფერი იალქნების“ კარს შეაღებთ, უმაღლესად ისეთი გულითადობის გრძნობა დაგეუფლებათ, როგორსაც საერთოდ ადამიანებში იწვევს ზღვა, გემის მყუდრო კაიუტა, საიდანაც გაჩნდა, ალბათ, გამოთქმაც „კაიუტ-კომპანია“. ამ შეგრძნებას ისიც აღვივებს, რომ კლუბ-კაიუტის კედლებს ამშვენებს გამოჩენილ ზღვაოსანთა — კოლუმბის, მაგელანისა და ჰეიერდალის პორტრეტები, რომელთა სტიქია ზღვისა და ოკეანეების იალქნებით დამორჩილება-დალაშქვრა იყო. კლუბის პოლის კედლებზე ტრენაჟერები და სხვა სავარჯიშო იარაღებია მიმაგრებული, აქვეა საშხაპეები, გასახდელი, ფინური აბანო. დარბაზის კედლებზე მიმაგრებულ თაროებზე უხვად არის სპეციალური ლიტერატურა, რომელსაც ნორჩები დიდი ინტერესით ეცნობიან. აქვე უტარდებათ მათ მეცადინეობები ინგლისურ ენაში (იგი სავალდებულოა აფროსნისათვის, ვინაიდან ნავის მართვის დღესაც მოქმედი მთელი ტერმინოლოგია სწორედ ამ ენაზეა); აქვე ეუფლებიან ბავშვები გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჩვევებს, თოკის კვანძების — სატაკელაჟო საქმეს. კლუბშივე გადიან საერთო ფიზმომზადებას. საწყისი სპეციალური მომზადება ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო კომპ-

ლექსსა და კუს ტბაზე მიმდინარეობს.

— რამდენი მოზარდია გაერთიანებული „ალისფერ აფრებში“? — ვკითხვით კლუბის თავმჯდომარეს, მისი დაარსების სულისჩამდგმელს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს დავით ზოდელავას.

— სხვადასხვა ჯგუფში, — გვეუბნება თავმჯდომარე, — 500-მდე ბავშვი მეცადინეობს. აქედან 120 უშუალოდ აფროსნობაზე დადის და მწვრთნელების მალხაზ დონდუასა და გია ჰირველის ხელმძღვანელობით ეუფლება ამ რთულ და მოზარდისათვის უაღრესად რომანტიკულ სახეობას.

— რამ განაპირობა მოზარდთა ასეთი სიყვარული აფროსნობისადმი?


— თვით მისმა სირთულემ. აბა, წარმოიდგინეთ ზღვას შეჭიდებული 11-12 წლის ბიჭუნა, რომელიც სტიქიასთან პირისპირაა დარჩენილი და სძლევს სტიქიასაც და თავის თავსაც. ეს ხომ ნამდვილი ვაჟკაცობაა! და ასეთ მცირე ასაკში ამის განცდა დიდი რამ არის! ამას ემა-

ტება კლუბში გამეფებულია აფროსნობის ატმოსფერო. აღზრდილია პედაგოგთა უმრავლესობა და მეთანხმება, რომ სწორედ გულითადობის მიღწევაა ძალიან ძნელი.

ჩვენთან მოსული ბავშვი კი პირველივე დღიდან ისეთ გარემოცვაში სვდება, კონტაქტები უადვილდება. ამიტომ ჩვენთან სასჯელის უმაღლესი ზომა მეცადინეობაზე დასწრების აკრძალვაა. ბავშვები ცდილობენ დაემორჩილონ კლუბის ხელმძღვანელობის ყველა მოთხოვნას. ჩვენც ვცდილობთ გავამართლოთ ეს ნდობა და გულისხმიერება და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ნორჩ სპორტსმენთა ცხოვრება შინაარსიანი და მიმზიდველი გავხადოთ. კლუბი აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით. აქ ხშირად ვმართავთ საინტერესო საღამოებს, ვიდეომაგნიტური ფირების ჩვენებას ცნობილი მეზღვაურების ჰეიერდალისა და კუსტოს საქმიანობაზე, ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებთან, უნივერსიტეტის აქტივთან, თეატრალურ დასებთან, მსახიობებთან. მოზარდები არჩევენ სპექტაკლებს, გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებს. როგორც ხედავთ, კლუბის ფუნქცია უფრო მრავლის მომცველია...



ბ. ბიგანიშვილი თავისი სახელობის კლუბის წევრებთან.



ლ. ჯიშარიანი — კუს ტანის რეპატის გამარჯვებული.

კლუბი, რომელსაც დღიდან და-
არსებისა თავს დასტრიალებენ ისე-
თი ენერგიული ენთუზიასტები, რო-
გორიც დ. ზოდელავა და სხვა
მწვრთნელები არიან, იმთავითვე
საერთო ყურადღების ქვეშ მოექცა.
კერძოდ, მას დიდ დახმარებას უწევს
ქალაქის საბჭოს საბინაო მფურნე-
ობის სამმართველო. მასთან ერთად
„ალისფერ იალქნებს“ ბევრი ქომა-
გი ედგა მხარში, რომელთა შო-

რის იყო ორჯონიკიძის რაიონის
აღმასკომი, სპორტკომიტეტი; ქალა-
ქის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომა-
რე გ. ყირმელაშვილი) კი კლუბს
„ოპტიმისტისა“ და „კადეტის“ კლა-
სის ნაგები გადასცა. „ალისფერ
იალქნებს“ დიდ საშეფო სამსახურს
უწევენ საწარმო გაერთიანება „საქ-
პოლიმერკონტინერი“ (უფროსი,
ჯ. ჯაველიძე), სასოფლო სამეურ-
ნეო წარმოების სახელმწიფო კომი-
ტეტის №1 სამშენებლო ტრესტი
(უფროსი ნ. ბოკერია). ავტოტრანს-
პორტის სამინისტრომ ნორჩებს ავ-
ტობუსი გადასცა, ხოლო ქალაქის
სატრანსპორტო გაერთიანებამ ჩა-
მოწერილი თბომავალი „კომეტა“
გადაულოცა, რომელიც თბილისის
ზღვაზე დგას და სათანადო რესტავ-
რაციის შემდეგ „ალისფერ იალქ-
ნებს“ მოემსახურება.

„ალისფერი იალქნების“ სხვა სიკეთე

— ორი წელია, რაც ამ უბნის
პედაგოგ-ორგანიზატორად ვმუ-
შაობ, — თქვა ლ. გობეჯიშვილმა, —
და ყველაზე უკეთ ვგრძნობ ამ
კლუბის მაღლსა და სიკეთეს. ჩვენი
ვალი ხომ ის არის, მოზარდის თა-
ვისუფალი დრო შინაარსიანი და
დატვირთული იყოს. ამით ჩვენ მას
ქუჩაში უმიზნო ხეტიალისა და
ათასგვარი უზნეობისაგან ვიხსნით.
ამ მხრივ ძალზე გვეხმარება კლუბი,
მისი გამგეობა. მათ რიგებში ჩვე-
ნი საბინაო-საექსპლოატაციო უბ-
ნის 70 ბავშვია ჩაბმული. მათ
რიცხვში ისეთებიც, რომლებსაც
ძნელად აღსაზრდელებს უწოდებდ-
ნენ: ი. ანთაძე, გ. კერვალიშვილი,
ა. კაპანაძე და ჯ. ნარსია. ისინი
სწავლაშიც ჩამორჩებოდნენ და
მთელ დღეებს ქუჩაში ატარებდნენ.
ახლა ისინი კვირაში 5-ჯერ ვარ-
ჯიშობენ და სწავლასაც საგრძნობ-
ლად უმატეს. აქვე უნდა ითქვას,
რომ სახელოვან სპორტსმენთა სა-
ხელობის კლუბები სხვაგანაც არსე-


ბობს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა
ლესობა არ მოქმედებს. მათი ინსტი-
ტიუციონალიზაცია კი ბევრი სასიკეთო საქმე
მოჰყვება. მარტო აფროსნობა კი
არა! ბიგანიშვილის კლუბის 12 წევ-
რი „ტყავის ბურთის“ რაიონულ
ტურნირზეც კი გამოდის.


წინ დიდი სტარტშია

კლუბის საბორტო ჟურნალში
წლებანდელი ზაფხული შევა, რო-
გორც ოფიციალურ ასპარეზობათა
დასაბამი. დიახ, ამ სეზონში „ალის-
ფერი იალქნების“ აღსაზრდელებმა
პირველი სტარტი აიღეს სხვადა-
სხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. ერთ-
ერთი ასპარეზობა ტალინის ყურე-
ში გამართული ჭაბუკთა ტრადიცი-
ული საკავშირო „რეგატა-ოპტი-
მისტი“ გახლდათ, რომელშიც მოს-
კოვის, ლენინგრადის, ტარტუს, რი-
გისა და ბალტიისპირეთის რესპუბ-
ლიკების სხვა ქალაქების წარმო-
მადგენლებთან ერთად ძალა სცადეს
ქართველმა ბიჭუნებმაც. „ალისფერი
იალქნების“ ღირსებას იცავდა სამი
იახტსმენი მწვრთნელ გია პირვე-
ლის ხელმძღვანელობით.

აი, რა გვიამბო ესტონეთიდან
დაბრუნების შემდეგ გ. პირველმა:

— ასპარეზობა „ოპტიმისტი“, რო-
მელიც წელს მერვედ ჩატარდა ტა-
ლინის მახლობლად მდებარე ხარ-





კუს ტბაზე, ამჯერადაც სპორტისა და მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა.

სამი დღის განმავლობაში 150 ნორჩი იახტსმენი იბრძოდა გამარჯვებისათვის შვერდბორტ „ოპტიმისტებით“. უამინდობამ ნამდვილი გამოცდა მოუწყო ბიჭებს და გონებს, — მათ მოუხდათ გამოეცლინებინათ მთელი თავიანთი ოსტატობა და გამარჯვებისადმი ლტოლვა.

მართალია, ქართველმა ყმაწვილებმა ფინალურ ეტაპამდე ვერ მიადგინეს, მაგრამ მათ სათანადო გამოცდილება შეიძინეს, რაც მომავალ ასპარეზობებში გამოადგებათ. ჩვენ ოპტიმისტურად ვუყურებთ „ოპტიმისტის“ მომავალ სტარტებს, მათ შორის 1985 წლის ხარკუს IX რეგატას.

ზურგქარს გისურვებთ, ბიჭებო!

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. მანკინი გვიჩვენებს


უმცროსი ჯგუფების ბავშვებთან მუშაობა მწვრთნელისათვის ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეა, ვინაიდან ამ ასაკში წყდება ტალანტის ბედი, ყალიბდება ზღვისა და აფრის სიყვარული: ზღვაში წარმატება მხოლოდ დიდი გამოცდილების,

ინტელექტისა და გონების დაძაბული მუშაობის შედეგად მოდის. 1980 წლის ტალინის ოლიმპიური რეგატისათვის მზადების დღეებში კარგად ვიცოდი, რომ ურთულესი ასპარეზობა — 7 რბოლა მელოდა, რისთვისაც საგანგებოდ ვემზადბოდი და არა მარტო წყალზე, სტადიონის ბილიკებზეც, რომლებსაც ზედიზედ „ვნიქავდი“ რბენით. ვასრულებდი რა ამ ფიზიკურ ვარჯიშებს, თვალწინ მედგა ბრძოლის ყველა ნიუანსი, ზღვის ყველა ჭირვეულობა — მისი ქარები და დინებები. დიახს, ეს ფსიქოლოგიაა. ეს არის მტკიცე ხასიათის გამომუშა-

ვება. თუ ქარიშხალში მოხვედრილი ახალბედა იახტსმენი იმახტრობს, როგორმე მიაღწიოს ნაპირს, ძლიერი, გამობრძმედილი სპორტსმენი ცდილობს მოძებნოს სწორი კურსი. ამაშია პრინციპული განსხვავება...

ბავშვებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ კარგი სწავლა აუცილებელია მომავალი სპორტული წარმატებებისათვის.

ახლა ჩვენში მრავლად არის სპეციალიზებული სპორტული სკოლები, რის წყალობითაც მოზარდთა ლტოლვა სპორტის ამ სახეობისადმი დიდად გაიზარდა. ტალინის ნავსაშენი მათთვის უშვებს ახალი კლასის — „ლუჩის“ იახტებს; ბავშვთა



„პაღეტაში“
თაილისის
ზღვაზე.

ვარჯიში
კუს
ტბაზე.

იახტკლუბები მასობრივად მარაგდება „ოპტიმისტებითა“ და „პაღეტებით“. ჩვენი ქვეყნის მოზარდთა პირველობებზე არაერთი ნამდვილი მომავალი ოსტატი შემხვედრია.

დაბოლოს, დარწმუნებული ვარ, მშობლიური კლუბის სიყვარული დიდად დაგენმარებათ მომავალში, მთელი თქვენი ცხოვრების სწორი კურსის პოვნაში. და ჩემი ოცნებაც ის არის, თქვენს შორის ჩვენი სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებლები ვიხილო.

საქ. სსრ კ. მარტოს



თავკეჩა ბოლიათი

მსხდარი და ისე ტკბილად დასვენდნენ, რომ ხშირად ბავშვები თავს წყვეტდნენ და სულგანაბული უსმენდნენ მათ.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გოლიათი შინ დაბრუნდა. ის შვიდ წელიწადს სტუმრად იყო კორნუელელ კაციჭამია გოლიათთან, გული მოიხზა მასთან ბაასით და ახლა საკუთარ კოშკში დაბრუნდა. ბაღში მოთამაშე ბავშვები რომ დაინახა, ერთი საშინლად დაიღრიალა: — აქ რას აკეთებთ?

ბავშვებს შეეშინდათ და გაიქცნენ.

— ეს ჩემი ბალია და არავის მიეცემ აქ თამაშის უფლებას. — თქვა გოლიათმა. ბაღს მაღალი მესერი შემოავლო და ასეთი აბრა გამოაკრა:

შესვლა აპრკალუღია! დაგრძელები დაიწყებინა!

გოლიათი ძალზე თავკერძა იყო. საწყალ ბავშვებს სათამაშო ადგილი აღარ ჰქონდათ. სცადეს გზაზე ეთამაშნათ, მაგრამ გზა მტვრით და წვეტიანი ქვებით იყო მოფენილი და ვერ შეძლეს. ახლა სკოლის შემდეგ ისინი დანაღვლიანებულნი უვლიდნენ გარშემო მაღალ მესერს და ლამაზ ბაღს იხსენებდნენ, თან ერთმანეთს ეუბნებოდნენ: — რა ბედნიერები ვიყავით იქ!

შემდეგ გაზაფხული მოვიდა. ხეებზე კვირტები გამოინასკვა. მოფრინდნენ პატარა ჩიტებიც. მხოლოდ თავკერძა გოლიათის ბაღში იყო ისევ ზამთარი. ჩიტებს არ ემღერებოდათ, რადგან ბავშვებს ვერ ხედავდნენ, და ხეებსაც გადაავიწყდათ, რომ აყვავების ეამი დაუდგათ. ერთხელ ბალახიდან ლამაზმა ყვავილმა ამოყო თავი, მაგრამ როდესაც აბრა დაინახა, ისე შეეცოდა ბავშვები, რომ უკანვე ჩაიმალა და ძილი გააგრძელა. მხოლოდ თოვლი და ყინვა იყვნენ კმაყოფილნი.

— გაზაფხულს დაავიწყდა ეს ბაღი, — ამბობდნენ ისინი, — ასე რომ, იგი მთელი წლით ჩვენ დაგვრჩა.

თოვლმა ბალახი სქელი, თეთრი საბურველით დაფარა, ყინვამ კი

ოსკარ უილდი

გ ლ ა პ ა რ ი

მხატვარი თ. შხიკიძე

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ყოველდღე გოლიათის ბაღში თამაშობდნენ. დიდი და მშვენიერი იყო ეს ბაღი, მწვანე ბალახით დაფარული. შიგ ვარსკვლავებით გაბნეულიყო ნაირ-ნაირი ყვავილე-

ბი. თორმეტი ატმის ხე გაზაფხულობით ვარდისფერი და მარგალიტისფერი ყვავილებით ირთვებოდა, შემოდგომაზე კი ტკბილ და სურნელოვან ნაყოფს იხსამდა. ხეების ტოტებზე ჩიტუნები იყვნენ ჩამო-



ვერცხლისფრად მოხატა ყველა ხე-
შემდეგ მათ ჩრდილოეთის ქარცი
მოიწვიეს. თბილ ქურქში გახვეული
ქარი მთელ დღეს ბაღსა და საკვა-
მურებში დაქროდა და ღრიალებდა.

— რა შესანიშნავი ადგილია, —
თქვა მან, — სეტყვაც უნდა მოვიწ-
ვიოთ.

სეტყვაც მოვიდა. ყოველდღე სა-
ათობით აზრიალებდა კოშკის სახუ-
რავს. ლამის ყველა კრამიტი დალე-
წა, შემდეგ კი მთელ ბაღს ჩამოუ-
არა გარშემო და გაატიალა.

— ვერ გამიგია, რატომ აგვიანებს
მოსვლას გაზაფხული!? — თქვა
თაკერძა გოლიათმა. იჯდა ფანჯა-
რასთან და თავის გაყინულ, თეთრ
ბაღს უყურებდა. — თუმცა, ალ-
ბათ, ამინდი მალე შეიცვლება.

მაგრამ გაზაფხული არა და არ
მოვიდა, არც ზაფხული მოსულა.
შემოდგომამ ოქროსფერი ხილით
დახუნძლა ყველა ბაღი, გოლიათის
ბაღში კი არც შეუხედავს. იქ მარა-
დი ზამთარი მეფობდა.

ერთ დილას, როცა გოლიათს
გამოეღვიძა, მის ყურს ისეთი სასი-
ამოვნო ჰანგები მისწვდა, რომ იფი-
ქრა, ალბათ მეფის კარის მუსიკო-
სებმა ჩაიარესო. მაგრამ ეს მხო-
ლოდ და მხოლოდ პატარა ჭვინტა
გამოდგა. იმდენი ხანი იყო გასული,
რაც გოლიათს თავის ბაღში ჩიტის
გალობა აღარ გაეგონა, რომ ჭვინ-
ტას ჩვეულებრივი ქლურტული
მშვენიერ სიმღერად მოეჩვენა. ამ
დროს სეტყვა დადუმდა, ჩრდილო-
ეთის ქარმა შეწყვიტა ღრიალი,
ფანჯარაში კი მშვენიერი სურნელი
შემოიჭრა. — „მგონი ბოლოს და
ბოლოს გაზაფხული მოვიდა“, —
თქვა გოლიათმა, წამოხტა საწოლი-
დან და ფანჯარაში გაიხედა.

საუცხოო სანახაობა გადაეშალა
თვალწინ. მესერის პატარა ხვრელი-
დან ბავშვები შემოსულიყვნენ ბაღ-
ში და ხეების ტოტებზე ჩამომსხდა-
რიყვნენ. ბავშვების დაბრუნებით
გახარებული ხეები აყვავებულიყ-
ვნენ და ახლა ნახად იქნევდნენ ტო-
ტებს. ჩიტებიც მხიარული ჭიკჭი-
კით დაფრინავდნენ ტოტიდან ტოტ-
ზე. მწვანე ბაღასიდან ყვავილები
იქტირებოდნენ და იცინოდნენ. მხო-

ლოდ ბაღის ერთ შორეულ კუთხე-
ში იდგა ისევ ზამთარი.

პატარა ბიჭი, ისე პატარა, რომ
ტოტებს ვერ სწევდებოდა ხეზე ასას-
ვლელად, იდგა ხის ქვეშ და მწა-
რედ ტიროდა. საცოდავი ხე კენ-
წერომდე ყინულით და თოვლით
იყო დაფარული, თავს კი ჩრდი-
ლოეთის ქარი დაღმუოდა.

— ამოცოცი, პატარა ბიჭო! —
უთხრა ხემ და თავისი ტოტები რამ-
დენადაც შეეძლო დაბლა დასწია,
მაგრამ ბიჭი ძალიან პატარა იყო.

ამის დანახვაზე გოლიათს გული
აუჩიყდა.

— რა თავკერძა ვიყავი! — თქვა
მან, — ახლა ვხვდები, რატომ არ
მოდებოდა აქ გაზაფხული. პატარა
ბიჭს ხის ტოტზე შეევსამ, ღობეს
ნოვში და ბაღში ბავშვები ითამა-
შებენ.

იგი გულწრფელად ნანობდა სა-
კუთარ საქციელს. ბაღში გავიდა,
მაგრამ მის დანახვაზე ბავშვები შე-
შინდნენ და გაიფანტნენ. ირგვლივ
კვლავ ზამთარი გამეფდა. მხოლოდ
პატარა ბიჭი არ გაქცეულა, რადგან
თვალები ცრემლებით ჰქონდა სავ-
სე და გოლიათი არ დაუნახავს.
გოლიათი მას უკანდან მიეპარა.
ხელში აიყვანა და ხეზე შესვა. ხე
მაშინვე აყვავდა, ჩიტებიც მოფრინ-
დნენ და გალობა დაიწყეს. პატარა
ბიჭმა ორივე ხელი მოხვია გოლი-
ათს კისერზე და აკოცა. როდესაც
სხვა ბავშვებმა დაინახეს, რომ გო-
ლიათი კეთილი გამხდარიყო, სირ-
ბილით დაბრუნდნენ უკან. მათთან
ერთად მოვიდა გაზაფხულიც.

— ეს ბაღი ახლა თქვენია, ჩემო
პატარებო! — უთხრა ბავშვებს გო-
ლიათმა, აიღო დიდი ნაჯახი და ღო-
ბე დაჩეხა.

მეორე დილით ხალხმა დაინახა,
რომ გოლიათი ბავშვებთან ერთად
ითამაშობდა ბაღში.

მთელი დღე ითამაშეს, საღამოს
კი, როცა უნდა დამშვიდობებოდნენ
ერთმანეთს, გოლიათმა იკითხა:

— თქვენი პატარა მეგობარი სად-
ღაა? აი. ის ბიჭი, მე რომ ხეზე შე-
ვსვი.

— არ ვიცი. — უპასუხეს ბავ-
შვებმა. — სადღაც წავიდა.

მაშინ გოლიათმა ბავშვებს მისი
მოძებნა სთხოვა. მაგრამ ბავშვებმა
არ იცოდნენ, სად ცხოვრობდა ბიჭი.
წინათ არასოდეს ენახათ იგი. გო-
ლიათი ძალიან დაღონდა

ყოველდღე გაკვეთილების შემდეგ
ბავშვები მიდიოდნენ და ბაღში
მამობდნენ, მაგრამ პატარა ბიჭი
რომელიც ასე შეუყვარდა გოლიათს,
აღარ გამოჩნდა. ახლა გოლიათი
ძალზე კეთილი იყო ყველა ბავშვის
მიმართ, მაგრამ ძალიან ენატრე-
ბოდა თავისი პატარა მეგობარი და
ხშირად იხსენებდა მას.

— როგორ მინდა მისი ნახვა! —
იტყოდა ხოლმე ის.

გავიდა წლები. გოლიათი დაბე-
რდა და დაუძლურდა. მას აღარ შე-
ეძლო ბაღში ითამაშო, იჯდა ხოლმე
ძველ სავარძელში და უყურებდა
ბავშვებს — ტკებებოდა თავისი ბა-
ღით. „ჩემს ბაღში ბევრი მშვე-
ნიერი ყვავილია, მაგრამ ბავშვები
ყველაზე მშვენიერი ყვავილები
არიან“, — ამბობდა ის.

ზამთრის ერთ მშვენიერ დილას
გოლიათმა ბაღში გადაიხედა. ახლა
მას აღარ სძულდა ზამთარი, რადგან
იცოდა, რომ გაზაფხულს მხოლოდ
დროებით ეძინა და ყვავილებიც
ისვენებდნენ.

უცებ გაოცებისაგან თვალები გა-
უფართოვდა. თვალწინ საოცარი სა-
ნახაობა გადაეშალა. ბაღის შორეულ
კუთხეში იდგა ულამაზესი თეთრი
ყვავილებით დაფარული ხე. ოქროს
ტოტებზე ვერცხლისფერი ხილი
ესხა. ხის ქვეშ კი ის პატარა ბიჭი
იდგა, გოლიათს რომ შეუყვარდა.

სიხარულით დაეშვა გოლიათი
ბაღში, სწრაფი ნაბიჯით მიუახლო-
ვდა ბავშვს, მაგრამ როცა ახლოს
მივიდა, სახე ბრაზისაგან გაუწი-
თლდა. პატარა ბიჭს ხელისა და
ფეხის გულზე ლურსმნის ნასახე-
ბი მოუჩანდა.

— ვინ გაბედა შენთვის ჭრილო-
ბის მოყენება? — ჰკითხა მან
ბავშვს. — მითხარი, ავიღებ ჩემს
დიდ ხმალს და მოგკლავ.

— არა, — უპასუხა ბავშვმა. —

ეს ხომ სიყვარულის ჭრილობებია...
— მითხარი, ვინა ხარ? — ჰკითხა
გოლიათმა, უცნაური მოკრძალება
იგრძნო უცბად და ბავშვის წინაშე
დაიჩოქა.

ბავშვმა კი გაუღიმა გოლიათს
და უთხრა:

— ერთხელ შენ ნება მომეცი შენს
ბაღში მეთამაშა. დღეს კი მე ჩემს
ბაღში წავიყვან, რომელსაც სამოთხე
ჰქვია.

მეორე დღეს, როდესაც ბავშვე-
ბმა ბაღში მიიბრინეს, გოლიათი
მკვდარი დახვდათ. იგი ხის ქვეშ
აწვა და თეთრი ყვავილებით იყო
დაფარული.

თარგმნი

თამარ ანდრეასოვილია



ნორკ კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

ისრობათ, ეს მამუკა დოლენჯაშვილია

რაზმეულის საბჭოს სხდომა, ჩვეულებრივად, მამუკა დოლენჯაშვილი-მა გახსნა. რაზმეულის საბჭოს წევრები დიდი ინტერესით უსმენდნენ თავიანთ თავმჯდომარეს, რომელმაც მიმოიხილა რაზმეულის მონაწილეობა ოპერაციაში „ვაშენებთ „მზიურს“ — პიონერთა ოცნების ქალაქს“.

„მზიურის“ მშენებელთა მესამე ბრიგადას სწორედ მამუკა ხელმძღვანელობდა. მისი ბრიგადა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბთან ერთად მუშაობდა. დაუფასდათ შრომა და გარჯა კარდანახელ პიონერებს — მათ „მზიურის“ მშენებლობის II ეტაპზეც გაიმარჯვეს. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა მამუკა დოლენჯაშვილმაც. იგი მესამე წელია. რაც რაზმეულის საბჭოს უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ტარდება ყოველი პიონერული ღონისძიება — შეკრება იქნება ეს თუ პოეზიის საღამო, ვიქტორინა-კონკურსი თუ მეგობრობის ფესტივალი. მეგობრობის ბადის გაშენება თუ თემატური ალბომის შედგენა, ტურისტული ლაშქრობა თუ მხიარული სტარტები. ალბათ, ამიტომაც უყვართ პიონერებს მამუკა, აფასებენ და რჩევასაც ხშირად ეკითხებიან.

მამუკას რაზმეულმა „მზიურის“ მშენებლობის პიონერულ ეტაპზე ძალიან ისახელა თავი. თბილისში გამართულ გამარჯვებულთა შეკრებაზე ისიც წარგზავნეს კარდანახელმა პიონერებმა თავიანთ დელეგატად.

საქართველოს ალკც ცენტრალურ-მა კომიტეტმა მამუკა მის მეგობარ ცირა ჩალათაშვილთან ერთად საბჭოთა კავშირის ქალაქებში ტურისტული მოგზაურობის საგზური დააჯილდოვა.

შევოკოვს ამბობენ მამუკას შეაბიძგე მისი ამხანაგები: პიონერული მუშაობა უყვარს ძალიანო. კარგი ხატვა იცისო. პატიოსანია და მასუხნისმგებლობის მაღალი გრძობა გააჩნიაო, ფიზკულტურასა და სპორტს მისდევსო, მეგობრებთან კარგი დამოკიდებულება აქვსო, თვითონ ხომ ფრიალზე სწავლობს და ჩამორჩენილებსაც სიამოვნებით ეხმარებაო.

მაღე მამუკა დოლენჯაშვილი, კარდანახელ პიონერთა წინამძღოლე, გამოემშვიდობება პიონერულ ორგანიზაციას და იმედია, კომკავშირშიც ასეთივე ხალისით და ინტერესით იმუშაებს და არასოდეს დაივიწყებს პიონერული მუშაობის სკოლას, რომელმაც ასე ბევრი კარგი რამ შესძინა და ასწავლა.

გინიკ შაპიაშვილი.
გურჯაანი. კარდანახის საშუალო სკოლა, X კლასი.

შიგნის სიყვარულით

მე წიგნის დიდი მოყვარული ვარ და ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ჩვენი კლასი მესამე შრომით სემესტრში ფოლად-თუქსასხმელი ქაონის მანლობლად მდებარე 32-ე ბიბლიოთეკა-ფილიალს უნდა მიხმარებოდა.

პირველივე დღიდან ხალისიანად მოვიკიდეთ საქმეს ხელი — ვაგროვებდით მკითხველთა მიერ დიდი ხნის წინათ წაღებულ, ბიბლიოთეკისთვის დაუბრუნებელ წიგნებს. ხშირად ვაწყვდებოდით წინააღმდეგობას: ზოგიერთი მკითხველი უარს ამბობდა წიგნის დაბრუნებაზე. ერთნი ამბობდნენ, დაკარგეო, სხვანი კიდევ, ბავშვმა დახიაო, მომპარესო და ა. შ. ჩვენ მაინც არ ვე-

ბუებოდით, ვაიიულებდით, ან დაებრუნებინა, ან სამაგიერო ლიტერატურა ჩაებარებინა ბიბლიოთეკისათვის. ასე დაუბრუნეთ ბიბლიოთეკას 600-ზე მეტი ძვირფასი წიგნი.

ჩვენი სამუშაო დღე დილის 10 საათიდან 14 საათამდე იყო განაზოგოვული. მაგრამ უფრო დიდხანს ვრჩებოდით წიგნის სიყვარულის გამო. ჩემს თანაკლასელ ლალი კუოტანიძეს დედა ცბრა წელია ავადა ჰყავს, მთელი ოჯახი მისი მოსავლეღია, მაგრამ მაინც ყოველდღე ჩვენს გვერდით იყო და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. სამწუხაროდ, გამოგვერია თითო-ოროლა თანაკლასელი, რომლებიც უმიზნოდ, მხოლოდ სიზარმაცის გამო აცდენდნენ სამუშაო დღეებს.

შრომითი სემესტრის დამთავრების შემდეგაც არ მოგვიკლია ყურადღება ბიბლიოთეკისადმი. კვლავ განვაგობდით წიგნების შეგროვებას და შიდა საბიბლიოთეკო საქმეშიც ვენმარებოდით ბიბლიოთეკარებს.

ირმა ბალაშვილი.
თბილისის 119-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.



მოდის მასწავლებელი

მოდის მასწავლებელი, თითქოს გაზაფხული მოდის, ცინცხალი მზითა და მთვარით, აყვავებული კორდით; ახლავს სიმღერები, ჰანგები, უსაყვარლესები ოდით. მშობელ დედასავით საყვარელი ჩემი მასწავლებელი მოდის.

მირანდა ჰიზინაძე.
ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლა, IV კლასი.

**პოპრალი
ქარი**

ცეცხლზე თუხთუხებს
თათაო,
ქარი მაჭრისგან
დამთვრალა.
ბარბაცით მისდევს
გზა-შარას,
ვანს დაუნახავს
ლობიდან,
სირცხვილისაგან
დამწვარა.

სურათი

ცაზე აენთო მზე რა,
მოავარაყა მთის წვერი,
ცირცელს მიაპყრო მზერა,
შერცხვა,
გაწითლდა ცირცელი.

ყაყაჩო

წითლად მობიბინე ყაყაჩოებს აე-
ფერადებინათ მწვანე მდელი. ნაზად
ირხეოდნენ ნიავის ყველა წამობერ-
ვაზე კეკლუცი ყვავილები, თავს იწო-
ნებდნენ, სიცოცხლეს შეჰხარო-
დნენ.
ჩამოქროლა ცქრიალა გოგონამ,
მოწონა ყაყაჩო, იფიქრა, მოვეწყ-
ვეტ, გულზე დავიბნევ და დედას ვა-
ნახებო. მოწყვიტა კიდევ და ის
იყო, გულზე უნდა მიეხნია, რომ დე-

**ვატარა
ნათელა**

ირიჟრაჟა თუ არა,
ადგა ციცქნა ნათელა,
მიიხედ-მოიხედა,
ეზო-კარი დახვეტა,
ბებოს წყალი მოუტანა,
მერე ქათმებს დახედა,
მიეფერა ცუგოს და
ის სიამით აყეფდა.

ღონარა ჩაკვეთამ,
წყალტუბო, გვიშტიბის
საშუალო სკოლა, 1-ლი კლასი.

ნ ა ტ შ რ მ რ ტ ი
მამუკა ლომიძე,
ზესტაფონის მე-4 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

**ჩეჩი სოფელი
სხვადა**

კრიხულადან აფრენილი ნისლი
ვახუშტის მთას თავზე ქუდად ჰხურავს.
ვით მხედარი. მოაგელვებს ქარი
თეთრი ღრუბლის ქურანს.

კვარა-ციხე, ცას მხრებით რომ სწვდება,
ჰგავს ნამდვილად ფრთამოტეხილ არწივს.
ტყე შრიალა ლურჯ ხასხასა სოფელს
უკვდავების წყაროს პეშვით აწვდის.

შენს ბუდიდან აფრენილი მართვე,
არ იფიქრო, რომ დღეს უკვე სხვა ვარ!
შენს სიყვარულს კვლავ ვატარებ გულით,
გოროზ მთებში შეყუჟული სხვადა!

ვეთინო დავლიანიძე,
თბილისი, 1-ლი საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

გაზაფხული

გაზაფხულის ფიქრს ფანჯარას ვუღერ,
ბახმაროს მთებზე თოვლი დაბნარა,
ყვითელ სიძღერებს მღერის იელი,
იმედად გვიმზერს ზეცა ანკარა.

მწვანედ მორთულა მთელი სამყარო.
თვალეებს მიბრმავეებს ამ მზის ნათება,
ბაღში ფოთოლთა ისმის ჩურჩული,
კვირტებს დიმილი ტუჩზე აღნებათ...

ხეები ხეებს ტოტით კოცნიან,
პეპლებმა პეპლებს უძღვნეს საღამი,
ბუნებამ გახსნა ზურმუხტის სკივრი
და გადმოფინა მწვანე ალაში.

მანიკო კალანდიაძე,
მახარაძის რ-ნი, ცხემლისხიდის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

დის გაბრაზებული ხმა მოესმა: —
დააგდე, გოგო, ეგ ყვავილი, მტვრი-
ანი იქნება და კაბას დაგისვრისო. ბა-
ვშვმა ცივად გაუშვა ყვავილს ხელი
და უკან მოუხედავად გაპყვა დედას.
უმწეო, უდელი ბარტყივით ეგდო
მიწაზე ყაყაჩო და მწარედ კვნესოდა.
მისი ტურფა დები კი ამაყად, კისერ-
მოღერებულნი იდგნენ და ისევ ისე
ნაზად ნანაობდნენ ნიავის აყოლილნი,
ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გამოა-
კლდათ იგი.
— რა იქნებოდა, არ მოვეწყვიტე,

მეც მეცოცხლა და მემშვენებინა
მდელი... — ფიქრობდა მომაკვდავი
ყვავილი, — ან თუ მომწყვიტა, კი-
დეც მივებნიე გულზე, ასეთი ულა-
მაზო აღსასრული მაინც არ მექნებო-
და... თორემ ვაგდივარ ახლა მტვერ-
ში და...

გზაზე ვიღაცამ ჩაიარა და მძიმე
ნაბიჯმა სამუდამოდ შეაწყვეტინა
ყაყაჩოს ფიქრი.

ნინო ჯღარაკაძა,
თბილისი, 155-ე საშუალო
სკოლა, X კლასი.





ტურფა რამ შიქმნა ბუნება,
ასა რამ ბააფირალა?

ვაჟა-ფშაველა

ტუნაბის ფინაბის ოსთაბის

ბგერათა ნაკადის დასაჭერად და, აქედან გამომდინარე, მატერიალურ პროცესთა რაობაზე წარმოდგენის შესაქმნელად, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სმენას. მიუხედავად ამისა, სმენა არ არის სამყაროს შემეცნების უმთავრესი წყარო. გარემოს მდგომარეობაზე ინფორმაციის დაახლოებით სამ მეოთხედს ჩვენ მხედველობის გზით ვღებულობთ, ბუნების ფერებს, მათ შეხამებას და კონკრეტულობას, ტონალობას და გაჯერებულობას, სინათლისა და ნივთიერებების ურთიერთმოქმედებას, სივრცის გამჭვირვალობას და ა. შ. მხედველობის არეში შემოჭრილი სინათლის სპექტრის ანალიზით აღვიქვამთ. ეს ანალიზი ჩვენდა შეუმჩნეველად, თავისთავად ხდება. მაგრამ, ინფორმაციული როლის გარდა, მრავალფერო-

ვან სამყაროს სხვა დანიშნულებაც აქვს — გარემოს ფერითი სიმდიდრე ემოციური აღქმის საგანიც არის.

ფერებისადმი ადამიანის ლირიკული განწყობილება გამომდინარეობს ესთეტიკურ გრძობათა სიჭარბიდან, მისი ფორმირება ხდებოდა ისტორიულად, ბუნებასთან ხანგრძლივი ურთიერთობის პროცესში, შემდეგ კი ხელოვნების შემოქმედებითაც. მაგრამ ადამიანის მიერ ფერების ესთეტიკურ აღქმას წინარე ისტორია აქვს და იგი ცხოველთა სამყაროში უნდა ვეძებოთ.

ცხოველებში ფერების აღქმა შემუშავდა გარემოსთან შეგუების, ადაპტაციის პროცესში. საინტერესოა, თუ როგორ ხედავენ სამყაროს ცხოველები? მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, მზით განათებულ ტყის ტევრს ესტუმრ-

ნენ ძალღი, ცხენი და ფუტკარს უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩიქმნას რომ ძალღი და ცხენი ვერ არჩევენ ფერებს. ძაღლები, რომლებიც ღამით მონადირე მტაცებელთა შთამომავლები არიან, გარემოში ორიენტირებისას ეყრდნობიან უმთავრესად ყნოსვას, ხედვით კი მხოლოდ რუხი ფერის რამდენიმე ელფერს ხედავენ. ძაღლის ხედვის ფოკუსური სიღრმე მოკლეა, გარკვეული მანძილის შემდეგ მას ტყის მცენარეულობა ერთმანეთში ერევა.

ცხენის უზარმაზარი თვალები გარემოს თითქმის 360 გრადუსით უყურებენ. მხედველობის ამგვარი წრიული ველი საშუალებას აძლევს ცხენს თითქმის ყველა მხრიდან დაინახოს მტერი. მხედველობის არეში მყოფ მთელ სამყაროს მისი თვალი მეტრნახევრიდან დაწყებული ვიდრე ჰორიზონტამდე მკვეთრად ხედავს.

სულ სხვა მხედველობა აქვს ფუტკარს. ამ მწერის თვალი რთული აგებულებისაა და შედგება ათასობით უმოდრაო და ბაწაწინტელა ლინზებისაგან. თითოეული ლინზა იძლევა მხედველობის ველში არსებული საგნების წერტილობრივ გამოსახულებას. ცალკეული ლინზებიდან მიღებული გამოსახულებები იკრიბება და გაურკვეველი ბუნდოვანი სურათი ჩნდება. რაც შეეხება ფერებს, ფუტკარი მხოლოდ რამდენიმე მათგანს არჩევს: ყვითელსა და მწვანეს, რომლებსაც ერთ ფერად აღიქვამს, მომწვანოლურჯს, ლურჯს, იისფერს და ულტრაიისფერს. ეს უკანასკნელი ადამიანის თვალისათვის მიუწევდომელია.

რას ხედავს იმავე ტყის ტევრში მდგარი ადამიანი? ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი დაინახავს ტყის ყველაზე მცირე მონაკვეთს. ეს იმიტომ, რომ მისი მხედველობის არეში მოხვედრილ ყველა საგანს ადამიანი მკაფიოდ ხედავს და არჩევს ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, ადამიანის თვალი ასხვავებს 20 მილიონამდე ფერით ვარიაციას.

არის კიდევ ერთი საინტერესო თა-
ვისებურება. წარმოვიდგინოთ სინა-
თლის შკალა სხვადასხვა ინტენსი-
ვობით განათებული საგნებით (ყვე-
ლაზე მკრთალიდან ყველაზე კაშკა-
შამდე). ადამიანს უნარი შესწევს
შეიგარძნოს შკალის განათებაში მო-
მხდარი ყოველად უმნიშვნელო, თუ-
ნდაც ერთი მეთამილიარდედი ნაწი-
ლის ცვლილებაც კი. ადამიანის
თვალის აპარატს შეუძლია ასევე
ფოკუსში მოაქციოს და მოგვეცეს
ერთმანეთისაგან დიდი მანძილით
დაშორებული საგნების ზუსტი გა-
მოსახულება, ვთქვათ, დაწყებული
ჩქვე, ცხვირწინ ამოსული გვიმრი-
დან, ვიდრე ყველაზე შორს მდგო-
მი ხის ზრომდე. ვინც კარგად ერ-
კვევა ფოტოსაქმეში, დარწმუნდება
ასეთი მხედველობის დიდ უპირა-
ტესობაში.

რა კავშირშია ფერთან სინათლე?
აქვთ კი რაიმე საერთო ამ სტიქი-
ებს, თუ პირიქით, ეწინააღმდეგე-
ბიან ერთმანეთს? იმპრესიონისტებს,
როგორც ცნობილია, ყველაფერი
ფერებამდე დაყავდათ, ხოლო სამ-
ყაროს განიხილავდნენ როგორც
მუდმივად ცვალებად ოპტიკურ
მოვლენას. ისინი თავიანთ ამოცანას
იმში ხედავდნენ, დაეჭირათ მუდ-
მივად ცვალებადი გარემოს ზეგავ-
ლენით მომხდარი ფერის თუნდაც

მინიმალური ტრანსფორმაცია. ასეთ
სწრაფვას აქვს თავისი გამართლე-
ბა. ცნობილია, რომ სუსტი განა-
თების შემთხვევაში ყველაზე კაშ-
კაშა ფერებიც კი კარგავენ სიმსუ-
ბუქებს და უფერულები, მოსაწყე-
ნები ხდებიან. იგივე ხდება ჭარბი
განათების შემთხვევაშიაც, ფერები
კვლავ კარგავენ „სიცოცხლეს“ და
„უფერულდებიან“. ვინაიდან მიწი-
ერი სინათლე გამუდმებით იცვლე-
ბა, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს
ეუმზიროთ სამყაროს ფერების უმ-
დიდრეს პალიტრას. ავიღოთ თუნ-
დაც თოვლი. თოვლი თეთრია —
ამაზე ორი აზრი არ არსებობს,
მაგრამ სულ სხვაა მზის სხივებზე
ათინათინებული თოვლის სითეთ-
რე. ეს არის რაღაც განსაკუთრე-
ბული ფერის თეთრი, რომელსაც
ბუნებაში ვერაფერს შეადარებ.
მაგრამ ეს სითეთრეც პირობითია
იმისდა მიხედვით, თუ რა კუთხით
ეცემა თოვლის ზედაპირს მზის
სხივი, მას შეიძლება მოლურჯო-
მოლილისფრო, მოვარდისფრო, მო-
რუხო თუ სხვა ტონალობის ფერო
დაჰკრავდეს. შეხედეთ ჩამავალი
მზის შუქით განათებულ ხის ფოთ-
ლებს. მცენარის მწვანე საბურვე-
ლი ხან ნარინჯისფრად ენთება, ხან
წითლად, ხანაც ყვითლად. ჩრდი-
ლები ამ დროს ლურჯდებიან, ხო-
ლო როგორც კი მზის უკანასკნელი
სხივი ჩაესვენება, ხე გამუქებას
იწყებს, მანამდე წითლად ავიზგი-

თ ე ნ ბ ი ზ კ ო ბ ე რ ი ზ

გაგაულო

ნასათუთ-ნალოლიები
გადამეშალე ედებად;
მამულო,
თვით უკვდავება
გადგია ლამაზ ხედებად!..
ლურჯი კაბები ჩაიცვეს,
ფრთები შეისხეს იებმა...
იმათი ეშხი... „დაიწვეს“
(მე კაცი გადამრიეს და...).
ვიხილე მთები
ბარი და
ზე აღმიტაცა ოცნებამ...
სიცოცხლე ამიყვავილა
უტუჩოდ დასაკოცნელმა.
დრო გადის,
გამარჯვებებით
სილადის ეშხი ხელდება...
თვით უკვდავება,
მამულო,
გადგია
ლამაზ ხედებად!..
მზე ბრილიანტად
გეფრქვევა
და წვიმა —
ოქროს წვეთებად...

ზებული ჰორიზონტი კი ლილის-
ფრად იღებება.

არნოლდ გავაჰორი
დასასრული შემდეგ ნომერში

კვირული

მარი პიანინოზე კუჭყიანი ხელებით უკრავდა.

— როგორ ბედავ, მარი, პიანინოზე კუჭყიანი ხელებით დაკვრას?! — გაუწყრა დედა.

— დედიკო, მე ხომ მხოლოდ შავ კლავიშებზე ვუკრავ! — უპასუხა მარიმ.

მოსწავლე შეეკითხა სურხათის მაღაზიით გამყიდველს:

— რა ღირს 1 კგ პური?

— ოთხი ფრანკი.

— ერთი კილოგრამი შაქარი?

— 12 ფრანკი.

— რამდენი ეღირება ორი კილოგრამი პური და ორი კილოგრამი შაქარი?

— 32 ფრანკი.

— მე თქვენ მოგცემთ 40 ფრანკს თქვენ რამდენს დამიბრუნებთ?

— რვა ფრანკს.

— ჩამიწერეთ, გეთაუვა, ეს რვეულში. გამყიდველმა ჩაწერა.

— ინებე შენი რვეული, მაგრამ რისთვის გჭირდება ეს?

— ეს ამოცანა სკოლაში მოგვეცეს დავალებად, — უპასუხა გახარებულმა ბიჭმა და: სკოლისაკენ გაიქცა.

მასწავლებელი შეეკითხა მოსწავლეებს:

— შეიდ პატარა ბიჭს აქვს ოთხი ვაშლი. როგორ გაიზაწილებენ ისინი ამ ვაშლებს?

ტოტომ სწრაფად უპასუხა:

— მე მოვიფიქრე.

— ყოჩაღ! აბა, გისმენთ.

— პატივცემულო მასწავლებელო, ისინი კომპოტს დაკეთებენ.

მასწავლებელი შეეკითხა მოსწავლეს:

— მითხარი ისეთი წინადადება, სადაც იქნება სიტყვა „კვერცი“.

— მე მიყვარს ნამცხვარი, — უპასუხა გოგონამ.

— კი მაგრამ, სად არის ამ წინადადებაში სიტყვა „კვერცი“?

— ნამცხვარში, პატივცემულო მასწავლებელო.

— ტოტო! როგორ გამოიცნობ, ქათამი ახალგაზრდა თუ ბებერი?

— კბილებით, ბატონო.

— მაგრამ ქათამს რომ კბილები არა აქვს?!

— სამაგიეროდ ისინი მე მაქვს, ბატონო!

ფრანგულიდან თარგმნა
ლია შარბაზანაშვილი



ყვავილი

ანდრეი პლაგონი
 მხატვარი ირა რაზმაძე
 (ზღაპარი-სინამდვილე)

ცხოვრობდა ამ ქვეყნად ერთი პატარა ყვავილი. მარტოდმარტო იზრდებოდა ყორზე. არავინ იცოდა მისი არსებობა. ამ ადგილს საქონელი არ ეტანებოდა, არც პიონერთა ბანაკის პიონერები თამაშობდნენ, რადგან აქ ბალახი არ იყო. ძველი, რუხი ქვები ეყარა და მათ შუა თიხა გამოჩნდარიყო. მხოლოდ ქარი თუ წამოუბერავდა დროდადრო. მხვენელმთესველი ბერიკაცივით თან მოჰქონდა თესლი და ირგვლივ აპნევდა — შავ, ნოტიო მიწაშიც და მოტიტვლებულ ქვიან ყორზეც. კეთილ მიწაში თესლი ხარობდა, ბალახი იწვევებოდა, იშლებოდნენ ყვავილები. ქვიან თიხაში კი თესლი იღუპებოდა.

ერთხელ ქარმა პაწია თესლი გადმოაგდო, რომელიც ქვასა და თიხას შორის მიიყუჟა. დიდხანს იყუჟა, იტანჯა პაწია თესლმა, როდის, როდის გაიჟღინთა ცვარ-ნამით, გაღივდა, წაეზარდა ბეწვისმაგვარი საფესვო ძაფები, ჩაეჭიდა ქვა-თიხას და ზრდა დაიწყო.

ასე მოვიდა ამ ქვეყნად ეს პატარა

ყვავილი. უჭირდა არსებობა, აბა თიხა და ქვა როგორ გამოკვებავდნენ? წვიმის წვეთები ვერ აღწევდნენ იმის ფესვებამდე, მაგრამ მაინც ცოცხლობდა და ცოცხლობდა. ცოტა წამოიზარდა კიდევ.

ქარი რომ ამოვარდებოდა, უმალ თავის ფოთლებს შეაგებებდა და იქვე ჩააყურებდა. თიხას ქარის მოტანილი მტვრის ნამცეცები ეცემოდა, რომელიც შავი, პოხიერი მიწიდან მოჰქონდა. ამ ნამცეცებში იყო ყვავილის საკვები, მაგრამ იგი მშრალი იყო და, რომ დაეღობო, ყვავილი მთელი ღამე დარაჯობდა ნამს. წვეთწვეთობით აგროვებდა ფოთლებზე. როცა ფოთლები ნამით დაუძიმდებოდა, ხრიდა მათ და ცვარ-ნამი ძირს ეცემოდა, ანოტივებდა ქარის მოტანილი შავი მიწის მტვრის ნამცეცებს და ასე იკვებებოდა. ყვავილი დღისით ქარს დარაჯობდა, ღამით — ნამს. დღედაღამე შრომობდა, რომ ეცოცხლა. დიდი ფოთლები გამოზარდა, რომ ქარი ჩაეყურებინა და ნამი აეკრიფა. მაინც უჭირდა არსებობა მხოლოდ

ქარის მოტანილი მტვრის ნამცეცებით, ნამის შეგროვებას უჭირდა, მაგრამ სიცოცხლე ძალიან სწყუროდა და ამიტომ ამ შიმშილსა და დაღლას დიდი მოთმინებით სძლეოდა. დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ ხარობდა, როცა მზის პირველი სხივი შეეხებოდა ხოლმე მის დაქანცულ ფოთლებს.

თუ ქარი კარგახანს არა ქროდა, მაშინ ძალიან ცუდად იყო ყვავილი, ძალა ელეოდა.

მიუხედავად ამისა, სევდას არ იკარებდა. თუ მეტისმეტად შეწუხდებოდა — თვლემდა და მაშინაც კი იზრდებოდა, როცა მისი ფესვები ქვასა და თიხას ლოლნიდნენ. ასეთ დროს ფოთლებს სიმწვანე ეკარგებოდათ, ერთი ძარღვი უღურჯდებოდათ, მეორე — უწითლდებოდათ, მესამე ან ცისფერდებოდა ან ოქროსფერს იღებდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ყვავილს საკვები აკლდა, — მისი შიმშილით ტანჯვა ფოთლების ამ სიჭრელით გამოიხატებოდა. თავად ყვავილმა ეს არ იცოდა, მას ხომ თვალები არა ჰქონდა. შუა ზაფხულში ყვავილი გაიშალა. აქამდე ბალახს ჰგავდა, ახლა კი ნამდვილი ყვავილი გახდა. იმისი გვირგვინი დამშვენებული იყო ღია ფერის კაშკაშა ფურცლებით და როგორც ვარსკვლავი, ისე კიაფობდა. ბნელ ღამეშიც კი შეიძინებოდა. ქარი უსათუოდ ეამბორებოდა ხოლმე და თან მიჰქონდა მისი საამო სურნელი.

და აი, ერთ დილით ამ ყორესთან დაშამ გაიარა. ეს გოგონა თავის მეგობრებთან ერთად პიონერულ ბანაკში ისვენებდა. ამ დილით ადრე გაეღვიძა, ძალიან მოენატრა დედა. დაჯდა და წერილი მისწერა. ახლა სადგურზე მიჰქონდა ფოსტის ყუთში ჩასაგდებად, უფრო მალე მივაო. გზადაგზა კონვერტს ჰკონცინდა, შურდა, რომ მასზე ადრე კონვერტი მივიდოდა დედასთან. უცებ დაშამ საამო სურნელი იგრძნო. მიიხედ-მოიხედა, ახლომანლო არაფერი ყვავილი არა ჩანდა. ბილიკზე ერთბეწო ბალახი ამოწვერილიყო, ყორე კი გაშიშვლებული იდ-

ვა. არადა, ქარს იქიდან მოჰქონდა უჩუმალი სურნელი, როგორც პატარა, უსახელო ყვავილის სიცოცხლის ძახილი. დაშას დიდი ხნის წინათ დედის ნაამბობი ერთი ზღაპარი გაახსენდა — ერთი ყვავილი დღენიადაგ დედა-ვარდს რომ ნღვლობდა, ტირილის ნაცვლად, საამო სურნელის ფრქვევით რომ იქარვებდა სევდას.

„იქნებ ამ ყვავილსაც ჩემსავით ენატრება დედა?“ — გაიფიქრა დაშამ და ყორეს ახლოს ჩაუარა. იქვე ქვასთან პატარა ყვავილი დაინახა. მისი მსგავსი არაფერი ენახა, არც მინდვრად და არც წიგნში, არსად, არსად... მიუჯდა გვერდით და ჰკითხა:

- რატომ ხარ ასეთი?
- არ ვიცი. — მიუგო ყვავილმა.
- რატომ არ ჰგავხარ სხვა ყვავილებს?

ყვავილმა ამჯერადაც არ იცოდა, რა ეპასუხა, ასე ახლოს ადამიანს პირველად უმზერდა, პირველად ესმოდა მისი ხმა და არ უნდოდა დუმილით ეწყენინებინა.

- იმიტომ რომ, მიჭირს.
- რა გქვია?
- მე არავინ მეძახის სახელს, — მიუგო პატარა ყვავილმა. — მარტოდ-მარტო ვცხოვრობ.

დაშამ იქაურობა მოათვალიერა.

- აქეთ ქვა, იქით თიხა! როგორ ცხოვრობ თიხაში, როგორ გაიზარდე?
- არ ვიცი, — მიუგო ყვავილმა.

დაშა ფაქიზად ეამბოროა. მეორე დღეს პატარა ყვავილთან მთელი ბანაკის პიონერები მივიდნენ. ვიდრე ყორეს მიუახლოვდებოდნენ, დაშამ სთხოვა, აბა კარგად იყნოსეთო, — ხომ გრძნობთ რა საამო სურნელია, ეს იმ ყვავილის სუნთქვააო.

პიონერები გარს შემოეხვივნენ ყვავილს და მისი მზერით ტკბებოდნენ. მერე ნაბიჯებით გადაზომეს ყორე, დაიანგარიშეს, რამდენი ურიკა ნაკელი და ნაცარი დასჭირდებოდა ამ უსიცოცხლო მიდამოს გაპოხიერებას. მაშინ ეს უსახელო ყვავილიც შვებით ამოისუნთქავდა, თესლი აღარ დაეღუპებოდა, მოამრავლებდა მშვენიერ შვილებს და გაიხარებდა მათი იშვიათი შუქის ციმციმით.

პიონერებმა ოთხი დღე იმუშავეს, გასაკეთებელი გააკეთეს და ახლა სხვა მინდვრები და ტყეები მოიარეს. აქ აღარ მოსულან, ზაფხული მიიწურა და ისინი შინისაკენ გაემგზავრნენ. მხოლოდ დაშამ მოინახულა ყვავილი დასამშვიდობებლად.

შემდგომ ზაფხულში დაშა ისევ ამ პიონერულ ბანაკში ისვენებდა. მთელი ზამთარი თვალწინ ედგა ეს უსახელო ყვავილი. ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ყორესაკენ გასწია. მივიდა და რას ხედავს! სადღა იყო ყორე, ბალახი ბიბინებდა, ყვავილები ყვაოდნენ. თავს დაჰვარფატებდნენ პეპლები და ჩიტები. ირგვლივ საამო სურნელი იდგა, — ისეთივე,

ის პატარა, გამრჯე ყვავილი რომ აფრქვევდა. თავად კი არა ჩანდა „ალბათ შემოდგომაზე დაიღუპა“, — გაიფიქრა დაშამ. ეს ახალი ყვავილებიც ლამაზები იყვნენ, თუმცა იმასთან ვერ მოვიდოდნენ.

დაშას გული დასწყდა იმ ყვავილის გამო და უკან გაბრუნდა. უცებ შეჩერდა, მიტყუპებულ ქვებს შორის ახალი ყვავილი ხარობდა, იმ ყვავილზე უფრო უკეთესი და მშვენიერი.

იდგა სიცოცხლით სავსე, წინამორბედივით მომთმენი, მაგრამ იმაზე უფრო ძლიერი, რადგან ამას ქვაზე ეკიდა ფესვი. დაშას მოეჩვენა, თითქოს ყვავილი მისკენ მიიწევდა და თავისი საამო სურნელის უჩუმალი ხმით უხმობდა.

თარგმანი
ქათივან ზილაზვილი



პური რენი კოსოჭის

პური ერთადერთი საკვები პროდუქტია, რომელიც მუდმივად და უცვლელად ამშვენებს სუფრას. წარმოუდგენელია სუფრა პურის გარეშე.

ვის შეუძლია გულგრილი დარჩეს ახლად გამომცხვარი პურის, განსაკუთრებით კი ქართული პურის მადის აღმძვრელი არომატის მიმართ?

ადამიანს დღეში რამდენჯერმე უხდება პურის ჭამა, მაგრამ, სხვა საკვებისაგან განსხვავებით, არასოდეს ბეზრდება იგი.

გამოანგარიშებულა, რომ ადამიანის დღეღამური ულუფის კალორიულობის 35-45 პროცენტს პური იძლევა.

გამოირკვა, რომ პურის შეთვისებადობის ერთი პროცენტით გაზრდა 1,5 მლნ კილოგრამი პურის ყოველდღიური ეკონომიის ტოლფასია, და რომ, თავისი სიცოცხლის 70 წლის მანძილზე ადამიანი 15 ტონა ხორბლის პურს ჭამს.

ნახევარი კილოგრამი პური ადა-

მიანის ორგანიზმს აძლევს მისთვის საჭირო ცილების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მთელი რიგი მინერალური ნივთიერებების ნახევარზე მეტს. ხორბლის პურის მაღალი კვებითი ღირებულება და გემოვნება, უწინარეს ყოვლისა, მარცვლის ქიმიური შედგენილობით, მასში ცილების შემცველობით განისაზღვრება. ცილებს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ორგანიზმისათვის. ხორბალში ცილების რაოდენობა 7-დან 22 პროცენტამდე მერყეობს.



გრძელსა და რთულ გზას გადის ხორბალი, ვიდრე ფქვილად იქცოდეს (გაშრობა, გაწმენდა, დაფქვა, გაცრა და ა. შ.). ხორბლის ერთი მარცვალი დაახლოებით 20 მილიგრამ ფქვილს იძლევა. ერთი პური რომ გამოცხვეს, 10 ათასი ხორბლის მარცვალია საჭირო.

საიდან მოვიდა ჩვენთან პური, როგორ ისწავლა ადამიანმა მისი მოყვანა, დამუშავება და გამოცხობა?

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა მრავალი მასალის შესწავლის გზით დაადგინეს, რომ პირველი „პურის მცენარე“ არა ხორბალი და ჭვავი, არამედ მუხა იყო. შორეულ წარსულში, ჩვენს ერამდე 5000 წლის წინათ, ადამიანები რკოს ფქვავდნენ და მისგან „პურს“ აცხობდნენ. ხორბლის მარცვლის გამოყენება მოგვიანებით დაიწყო.

პირველად ადამიანები ნედლ მარცვალს ჭამდნენ, შემდეგ კი ორი ქვის გამოყენებით ფქვილის მომზადება ისწავლეს. ფქვილისა და წყლის შერევით მათ აღმოაჩინეს საკვების ახალი სახეობა — ფაფა.

არსებობს ასეთი თქმულება: ერთხელ ერთ დიასახლისს დაავიწყდა ცეცხლზე შემოდგმული ფაფა და ზედმეტად გამოუშრა იგი. ასე გამოცხვა პირველი ლავაში. ამ გზით მიღებული ლავაში ფაფაზე უფრო გემრიელი აღმოჩნდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1200 წლის წინათ ადამიანისათვის პური უკვე ჩვეულებრივ საკვებად ითვლებოდა.

დრო გადიოდა, საუკუნე საუკუნეს მისდევდა, მალე ადამიანმა კიდევ გადადგა ნაბიჯი პურის მომზადების ხელოვნებაში: ლავაშისაგან იგი მჟავე პურის ცხობაზე გადავიდა. ეს მოხდა ეგვიპტეში, დაახლოებით 3000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იმ დროს, როდესაც ფარაონი ხეოფსი თავის ცნობილ პირამიდას აშენებდა.

მჟავე ცომის მოზელისა და მისგან პურის ცხობის ხელოვნება ეგვიპტისაგან ძველმა ებრაელებმა, მათგან კი — ბერძნებმა და რომაელებმაც გადაიღეს. რომში დღესაც დგას ხაბაზის პატივისცემად აღმართული მასიური მონუმენტი. ჩვენი წელთაღრიცხვის 30-იან წლებში ხაბაზის

პროფესია დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ძველი ბერძნებისაგან პურის ცხობის ხელოვნება ჩრდილოეთის ქვეყნებმაც გადაიღეს. მას შემდეგ ადამიანი და პური განუყოფელი თანამგზავრები არიან. ბევრ ოჯახში პურს ჯერ კიდევ წმიდათაწმიდად თვლიან, როდესაც პურის ნაჭერი უნებურად ძირს დაუვარდებათ, მაშინვე აიღებენ და ემთხვევიან, რადგან „პური წმიდათაწმიდაა, მისი გადაღება არ შეიძლება“.

პური მრავალი მოლაპარაკებისა და შეთანხმების ნიშანი იყო. მნიშვნელოვან საქმეთა გადაწყვეტა ხშირად პურის გაცვლა-გამოცვლით ხდებოდა. ქორწილებში პური მეუღლეობის სიმბოლოდ ითვლებოდა. დღემდე შემორჩენილია ძვირფასი და საპატიო სტუმრების პურითა და მარილით შეხვედრის ტრადიცია.

პური ხალხის სიმდიდრეა. ვ. ი. ლენინის თქმით, „პური სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოა“. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მთავარი მონაპოვარი სწორედ პური იყო. პური და რევოლუცია განუყოფელია.

თანამედროვე უდიდესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ხანაში, ისევე, როგორც ადრე, პური სიცოცხლის პირველსაწყის წარმოადგენს. ადამიანმა დაიმორჩილა მდინარეები, ზღვები, ოკეანეები, მიწის წიაღიდან ამოიღო ნავთობი და გაზი, დაეუფლა ატომის ენერგიას, აიჭრა კოსმოსში, პური კი პურად დარჩა. ამიტომ პურს განსაკუთრებული პატივისცემით უნდა ეპყრობოდეთ. პურის პატივისცემა და ყირათიანი მოხმარება მილიონობით ადამიანთა შრომის დაფასებაა. მუშები, ინჟინრები, აგრონომები, მეცნიერები დღე-ღამე შრომობენ, რომ ხარისხიან პურით უზრუნველყოფონ ჩვენი საზოგადოება. უნდა ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია პურით, რომ ჩვენი პური მსოფლიოში ყველაზე გემრიელი და იაფია.

ადამიანები ვერ დაივიწყებენ ლენინგრადის ბლოკადის მძიმე წლებს. ლენინგრადის დაცვის მუზეუმში ინახება 125-გრამიანი პურის ნაჭერი,

რომელშიც პურის ფქვილს მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენს. შესწავლის დროს თითოეული ლენინგრადელის დღიური ულუფა.

უპურობას ადამიანი მხოლოდ მაშინ ამჩნევს, როდესაც იგი არა აქვს. ბევრი, უფრო ისინი, ვისაც შიმშილის სიმწარე არ განუცდიათ, არ აფასებენ პურს და ნაჭრებს კი არა, მთელ-მთელ პურებს ჰყრიან. ზოგნი კაფეებსა და სასადილოებში დანასა და ჩანგალს პურით წმენდენ, შეხედავ და გული გეტკინება. გამომცხვარ პურს ხშირად პირად დამხმარე მეურნეობაში ცხოველებისა და ფრინველების საკვებად იყენებენ.

საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში პურს ყველივით ჭრიან სიფრიფანა ნაჭრებად და ცელოფანის პაკეტში აწყობენ. საუზმისა და სადილისაგან ნახევარი ნაჭერიც რომ მორჩეს, იმასაც პაკეტში ჩადებენ და ინახავენ. პური იქ ძვირია, ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი.

ჩვენში კი პური ყველასათვის ხელმისაწვდომია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მომჭირნეობა არ გამოვიჩინოთ მის მოხმარებაში. სახალხო სიმდიდრე ყირათიანობით მრავლდება, ეს კი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა.

მარცვლის წარმოება სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანაა. მარცვლის მოთხოვნილება მსოფლიოში მუდმივად იზრდება. წინასწარი მონაცემებით, მისი რაოდენობა 1975 წლის 1,2 მილიარდი ტონიდან 1985 წლისათვის 1,7 მილიარდ ტონამდე გაიზრდება.

მარცვლის წარმოების მხრივ საქართველო ჩამორჩება სხვა რესპუბლიკებს თავისი ბუნებრივი პირობების გამო. ჩვენში ძირითადად განვითარებულია მეჩაიეობა, მებალეობა, მევენახეობა და მეციტრუსეობა. სახნავ-სათესის სიმცირის გამო მარცვლის წარმოება კონკურენციას ვერ უწევს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. ამიტომ პურის გაფრთხილება ქართველ კაცს სხვებზე უფრო მეტად მართებს.

წ. კვირიკაშვილი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.



**წყნარის
& ჯანი**

**უცნაური
თევზები**

ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ტროპიკულ მტკნარ წყლებში მცხოვრები პატარა ზომის თევზები — მშხეფავები იკვებებიან მწერებით, რომელთაც ძალზე მოსერბებულად იჭერენ: შეამჩნივეთ თუ არა მსხვერპლს, ისინი პირიდან ამოტყორცნილი 1,5 მეტრის სიგრძის წყლის წვრილი ჭავლით ჩამოაგდებენ ხოლმე მათ და მყისვე შესანსლავენ. ამ თევზს საოცრად გონივრული გამოხედვა აქვს, იგი გულგრილად ვერ უყურებს მოძრავ საგნებს. სინკაპურელები მშხეფავებს გახართობად იყენებენ, ათავსებენ წყლიან აუზებში და მერე საათობით ადევნებენ თვალს მათ საოცარ ნადირობას: ძაფზე ჩამოკიდებენ ბუზებსა და ჭიანჭველებს, თევზები კი საოცარი სისწრაფითა და მოქნილობით ცეცხლენ მათ წყლის ჭავლით.


ტროპიკული წყლების საოცრებაა „მომღერალი თევზებიც“, რომლებიც ძირითადად ლაგუნების სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ. მთვარიან ღამეს წყლის სიღრმეიდან გაიგონებთ თევზების მელოდირ ხმებს, თითქოს მღერიათ. წლების განმავლობაში ეს მოვლენა იქთიოლოგების შესწავლის საგანია. მაგრამ საიდუმლოება ჭედაც არ არის ამოხსნილი.

მეტად საინტერესო თევზია „წყლის ხელიკი“. მას ისეთი უცნაური ფორმა და შესახედლობა აქვს, რომ საღამანდრას თუ ხელიის მოგვაგონებს. უყვარს ზღვასთან ახლოს მდებარე ჭები. სხეულის შეფერილობა ძალზე განსხვავებულია: მამრი ნაირნისფერია. ღია ფერის წინწკლებით, ხოლო მდედრი თითქმის მთლიანად თეთრი ან შავია. ჭის მობინარენი ძალიან მგრძობიარენი არიან წყლის ტემპერატურის, მარილიანობისა და ჟანგბადის შემცველობის მიმართ, მათი არსებობისათვის აუცილებელია ჟანგბადით მდიდარი სუფთა წყალი, ცოცხალი ბუნებრივი საკვები და 50°-მდე ტემპერატურა. ასეთ პირობებში თევზები ლალად გრძობენ თავს.

ძალზე ორიგინალური თევზია ხლაკუნა. მას ზედმეტ სახელად „ცოცხალ ბარამეტრს“ უწოდებენ. იგი სწრაფად რეაგირებს ატმოსფერული წნევის ცვალებადობაზე, ცუდი ამინდის წინ მოუსვენრობს და ყოველ წუთს ცდილობს წყლიდან ამოხტამს. თუ იგი ერთი წუთის განმავლობაში წყლიდან 10-15-ჯერ ამოხტა. ეს ჭექა-ქუხილს მოას-

წავებს, ხოლო თუ 15-20 წუთის განმავლობაში მისი თავი ერთხელ მაინც გამოჩნდა წყლის ზედაპირზე, კარგ ამინდს უნდა ველოდოთ. მთელ რიგ ჭვეუნებში, კერძოდ კი იაპონიაში, ხლაკუნებს, ისევე როგორც სხვა თევზ-მეტეოროლოგებს, სპეციალურად ათავსებენ აკვარიუმში და მათი ჭქევის მიხედვით ხშირად წინასწარმეტყველებენ არა მარტო ამინდის ცვლილებებს, არამედ ისეთი სტიქიური უბედურების მოახლოებასაც, როგორცაა ცუნამი და მიწისძვრა.

ამ თევზის მეორე საინტერესო თვისებაა ის, რომ იგი კარგად გრძობს თავს ისეთ წყალში, სადაც სხვა თევზები იღუპებიან. დიდხანს ძლებს უწყლოდაც, ვინაიდან,



ტაფელა

სხვა თევზებისაგან განსხვავებით, სუნთქავს არა მარტო ლაყურებით, არამედ კანითა და ნაწლავით. ნაწლავის კედლები მდიდარია სისხლძარღვებით და ჟანგბადის უკმარისობისას იგი სუნთქვის ორგანოს ფუნქციას ასრულებს.

ხლაკუნა მეტად უშნოა, ფორმითა და მოძრაობით გველს მოგვაგონებს. მისი სხეულის სიგრძე 25 სმ-ია. აქვს მომრგვალო ფარფლები, თავზე — 10 უღვაში, სხეული მოყვითალო-მოლურჯო ფერისაა, მუცელი ყვითელია, ზოგჯერ — მოწითალო, ფარფლები მუქი ფერისაა, ლაქებიანი.

ხლაკუნა ბინადრობს ტბებში, ჭაობებში, დამღარ წყლებში, იკვებება წვრილი კიბოებით, მატლებით და სხვა თევზების ქვირით. ცუდი მხედველობა აქვს, სამაგიეროდ კარგად აქვს განვითარებული ყნოსვის ორგანოები.

კამჩატკელ მებადურთა ბადებში ხშირად ხვდება მიქსინა. ამ პატარა თევზმა იქთიოლოგებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა.

მიქსინა ერთადერთი თევზია, რომელიც ცხვირით სუნთქავს. თვალბუკ კანი აქვს გადაკრული. მიქსინას 4 გული აქვს, ისინი სხვადასხვა რიტმით იკუმშებიან: ერთი გული კულისათვის, ერთი — ღვიძლისათვის, ერთი — თავისათვის, ერთი — კუნთებისათვის.

მიქსინები საოცრად გამძლენი არიან. მათ შეუძლიათ ნახევარ წელიწადს არაფერი ჭამონ, აქვთ თავისებური დაცვითი სისტემა




ხლაკუნა

საშიშროების შემთხვევაში მიქსინა იმდენ ღორწონს გამოჰყოფს, რომ მის გარშემო წყალი უღელს სახეს დებულობს. გარდა ამისა, ამ თევზს ისეთი მოქნილი ხერხემალი აქვს, რომ შეუძლია საშიშროების შემთხვევაში კვანძის ფორმა მიიღოს, რაც ხელს უწყობს მტრებისაგან თავის დაცვაში.

წითელი ზღვის წყლებში აღმოჩენილია ჭამბალას ნაირსახეობა, რომელიც ისეთ შხამს გამოჰყოფს, ზვიგენებსაც კი აფრთხობს ხოლმე. ამ შხამის ერთი წილი, გახსნილი 5000 წილ წყალში, ელვის სისწრაფით ჰკლავს მოლუსკებსა და წვრილ თევზებს. თავისი შხამით ეს ჭამბალა აშინებს ისეთ ძლიერსა და დიდ მტაცებლებს, როგორებიც არიან ზვიგენი, მურენა, ბარაკულა.

საინტერესო თევზია ტაფელა. იგი ბუნებით გუგულს ჰგავს, რომელიც სხვის ბუდეში დებს კვერცხებს. ბინადრობს ჩვენი ჭვეუნის დასავლეთ ნაწილში, მღორე წყლებში. იზრდება 19 სმ-მდე.

ამ თევზის ქვირითყრა დამოკიდებულია უკბილო მოლუსკ ანალოგზე. მამრი ტაფელა ცხვირს უკაკუნებს მოლუსკის ნიჟარას და როგორც კი მოლუსკი საკდულს გამოაღებს, მდედრი ტაფელა მაშინვე იწყებს ქვირითის ყრას მოლუსკის მანტიის ნაოჭებში, ხოლო მამრი — მის განაყოფიერებას. 17-20 დღის შემდეგ ნიჟარიდან გამოდინა ლიფსიტები (დაახლოებით 100 ცალი).



თევზი-მშხეფავი

ტაფელა მშვიდობიანი თევზია, მაგრამ გაზაფხულზე საათობით დასდევს ხოლმე სხვა სახის წვრილ თევზებს, ვიდრე ძაღლონეს არ გამოუღვწეს და არ დაიჭერს მათ ტაფელას უყვარს მტვიაროების სიმრავლე მათ გარეშე იგი სწრაფად იღუპება.

ლილი გელაშვილი,
იქთიოლოგი.



საქრებულო

ძილსაც ცოდნა უნდა

ამჟამად დედამიწის ზურგზე დაახლოებით ოთხი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. ადვილი გამოსათვლელია, რომ ერთდროულად სძინავს კაცობრიობის საგრძნობ ნაწილს, დაახლოებით მილიარდ სამას მილიონ კაცს.

მიუხედავად ამისა, ის როლი, რომელიც

მელსაც ძილი და სიზმარი ჩვენს ცხოვრებაში ასრულებს, საბოლოოდ ჯერაც გაურკვეველია. ბევრს სჯერა, რომ მხოლოდ ძილს შეუძლია გაგვათავისუფლოს დადლილობისაგან და აღვვიდგინოს დახარჯული ენერჯია; მაგრამ ზოგჯერ ხომ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე თვალსაც არ მხუჭავენ ხოლმე! როცა ძილში სიზმარს ვხედავთ, ხშირად გვეღვიძება და, მაშასადამე, ჩვენი ძილიც არ ყოფილა ღრმა. მაგრამ გამოირკვა, რომ უსიზმრო ძილს ძალზე მცირე სარგებლობა მოაქვს და ფსიქიკის მოშლილობის მიზეზადაც კი შეიძლება თურმე გადაიქცეს.

ხედავთ, რა საინტერესო საკითხე-

ბი ყოფილა შესასწავლი და დასაძინებელი გენი?

ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ძილის ის ფაზა, რომელშიც ადამიანი სიზმარს ხედავს, ნიადაგს ამზადებს მომავალი ფსიქიკური მოღვაწეობისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც სტრესულ სიტუაციათა წარმოქმნას ითვალისწინებს. მაშასადამე, სიზმარში ადამიანი თითქმის წინასწარ განწყობა ხვალისდღეს მოსახდენი ამბებისათვის და უფრო ადვილად სძლევს მათ, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა სტრესი მოულოდნელად წარმოიშობა ხოლმე.

ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომ-



ჯანაგაბი ცოცხლები უფრილან

პერუელმა მონადირეებმა კვეუნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში აღმოაჩინეს ინდიელ ტანკო ტომი, რომელიც ოთხი საუკუნის წინათ გამჭრალი ეგონათ. ოდესღაც ეს ტომი ძალზე მრავალრიცხოვანი ყოფილა. ისინი ინკების ტომსა და ესპანელ დამპყრობლებს ებრძოდნენ, შემდეგ კი ამაზონის ჭუნგლებში მიიმაღლნენ და რამდენიმე საუკუნის მანძილზე მათზე არავითარი ცნობები არ მოიპოვებოდა.

მუსიკალური სახელმწიფო

ყველაზე მუსიკალური მამაკაცები სოციოლოგებმა მონაკოს სამთავროში აღმოაჩინეს.

თვითონვე განსაჯეთ: ეროვნულ ორკესტრში 85 მუსიკოსი — მამაკაცია, ჯარში კი მხოლოდ 82 მსახურობს.

პირველი საფოსტო შტამპალი

ინგლისის ფოსტის უფროსს ჰენრი ბიშოფს, რომელიც XVII საუკუნეში ცხოვრობდა, პირველს მოუვიდა აზრად ფოსტით გაგზავნილ წერილზე თარიღის აღმნიშვნელი შტამპელის დასმა. ეს პირველი შტამპელიანი წერილები აღმდგა შემონახული. ისინი ქალაქ ჯერმიდან გაუგზავნიათ 1661 წელს.



ერთმანეთს დაშორდნენ

კვლავ დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ამერიკა და ავს-

ტრალია ერთ მატერიკს წარმოადგენდნენ, მაგრამ შემდეგ კონტინენტთა მოძრაობის შედეგად ისინი ერთმანეთს დასცილდნენ.

ერთ-ერთმა კვინსლენდელმა ფერმერმა ლაბირინდონატონის ჩინებულად შენახული ჩონჩხი აღმოაჩინა. ამფიბიებისა და სალამანდრების ეს შორეული წინაპარი (მისი სიგრძე სამ მეტრს აღემატებოდა) ჩვენს პლანეტაზე 230 მლნ წლის წინ ბინადრობდა. იგი ლათინური ამერიკის უძველესი ფაუნის ტიპური წარმომადგენელია.


ბინდათ, კარბი მახსნიარება გქონდათ?

დასავლეთგერმანელი მეცნიერი პროფესორი ჰერმან რაუხი ამტკიცებს, რომ გახართობი მუსიკის ზოგიერთი ფორმა ხელს უწყობს სტრეს-ჰორმონის გამოყოფას, რომელიც ტვინში აღბეჭდილი ინფორმაციის ნაწილს შლის. იგივე ხდება წინასავამოდო ციებ-ციხელეების დროსაც, როცა ასეთი სტრესის შედეგად ცოდნა „თავიდან ქრება“. საშიშროებას მართო ხმამაღალი მუსიკა კი არა, თურმე მშვიდი მუსიკალური ფონიც წარმოადგენს. იგი ალკოჰოლივით მოქმედებს:

მცირე დოზებით, მაგრამ ხისტემატურად და ხანგრძლივად მისი აღქმა ისევე ვნებს ორგანიზმს.

როდის აღინიშნა რუკაზე გოლფსტრიმის დინება?

ერთხელ ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ბენუამინ ფრანკლინი დანტერესდა იმით, რომ ინგლისსა და მის კოლონიებში მიმავალი საფოსტო გეგმა უფრო სწრაფად მაშინ მოძრაობდნენ, როცა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჰიემარტებოდნენ. ფრანკლინმა შეადგინა რუკა მანამდე უცნობი დინებისა და მას გოლფსტრიმი დაარქვა.



ლებმა გულდასმით შეამოწმეს ეს ჰიპოთეზა. მათ შეისწავლეს ახალგაზრდა სპორტსმენთა ჯანმრთელობა ყოველდღიური წვრთნის დროს და მიღებული შედეგები შეადარეს ასპარეზობისწინა ღამის ძილს, როცა სპორტსმენები, ბუნებრივია, განსაკუთრებით ნერვიულობდნენ. ამასთან, მეცნიერები აღრიცხავდნენ ორგანიზმის მიერ გამოყოფილი ჰორმონების, ჟუწინარეს ყოვლისა, „მობილიზაციის ჰორმონების“ — ნორადრენალინის რაოდენობას.

და აი, რა გამოიჩინა:
ასპარეზობის წინაღღეს, უშუალოდ მოსალოდნელი სტრესის წინ, ძილის ხასიათი თურმე ძირფესვიანად იცვლება: ღამის განმავლობაში ყველა სპორტსმენს ჩვეულებრივზე

ორჯერ უფრო ხშირად ეღვიძებოდა. შესაბამისად, ორჯერ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა სიზმრის ხანგრძლივობაც. მაგრამ აი, რა არის ყველაზე საინტერესო: ის სპორტსმენები, რომლებმაც წინა ღამით სხვებზე ნაკლები სიზმრები ნახეს, ასპარეზობაში თავის შესაძლებლობებთან შედარებით დაბალ დონეზე გამოვიდნენ, ხოლო იმათ, ვისი სიზმრების ხანგრძლივობაც ნორმას არ დაშორებია, შესანიშნავად იასპარეზეს. ეს კანონზომიერება იმდენად აშკარა გამოდგა, რომ თურმე, თუკი სპორტსმენის ძილს დავაკვირდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რამდენად არის იგი მზად სახვალთო შეჯიბრებისათვის.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ

ნორადრენალინი, რომელიც უფრო ანს „საბრძოლო მოქმედებისათვის“ განაწყობს, ამავე დროს, სიზმრის ინტენსივობის განმსაზღვრელიცაა. სიზმარი, როგორც ჩანს, იცავს ადამიანის ფსიქიკას მოსალოდნელი დაძაბულობისაგან. ის, ვინც ძალზე ცოტა სიზმარს ნახულობს, ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ფსიქიკურად მოუმზადებელი აღმოჩნდება ხოლმე.

ყველაფერი ეს მარტო სპორტსმენებს როდი ეხებათ. თითოეული ჩვენგანი ხშირად აწყდება ამა თუ იმ რთულ ცხოვრებისეულ ამოცანას, რომლის გადასაჭრელად აუცილებელი ხდება მთელი ჩვენი სულიერი ძალების მობილიზება.

ჟურნალი „ნაუკა ი უიზნი“.




თიბით მსუბუქი დაკვირვება

ტის აფსკი გადააპართ და მაგრად მოუკარით თავი. შემდეგ წყლით გაავსეთ, ღია ბოლოს თავი დააფარეთ, ამ ბოლოთი წყლიან ჭიქაში ჩაუშვით, თითი მოაშორეთ და მილი წყლის ზედაპირზე ისეთნაირად ამოსწიეთ, რომ შიგ ჰაერი შევიდეს და ნაწილობრივ გამოდევნოს წყალი. როცა მილში 10 მმ სისქის წყლის ფენა დარჩება, მილი ისევ სითხეში ჩაუშვით, გააჩერეთ ჭიქაში მდგარი წყლის დონეზე და

შტატივით დაამაგრეთ შვეულ მდგომარეობაში.

ახლა ოდნავ დაპკარით თითი რეზინის აფსკს. თქვენს თვალწინ მილში მდგარი წყლის ზედაპირიდან მაშინვე ამოიჭრება კუმულაციური ჭავლი, რომელიც აფსკამდეც კი აღწევს!..

1-ელ და მე-2 ნახატებზე თქვენ ხედავთ თვით ჭავლს, ხოლო მე-3 და მე-4 ნახატებზე — მის დაშლას ცალკეულ წვეთებად.



ჩვენი ჟურნალის მე-5 ნომერში თქვენ გაეცანით ე. წ. კუმულაციური ჭავლის მიღების გ. პოკროვსკისეულ ცდას („ჰიდროდინამიკური მექანიზმი სინჯარაში“). ახლა გთავაზობთ ვ. მაიერის ანალოგიურ ექსპერიმენტს, რომელიც, ვინ იცის, იქნებ უფრო საოცარიც კი მოგეჩვენოთ, ვიდრე გ. პოკროვსკის მოხდენილი ცდა.

აიღეთ სინჯარა და სუფთად გადახჭერით ძირი ისე, რომ ხელში შეგჩრეთ 15 მმ დიამეტრისა და დაახლოებით 100 მმ სიგრძის მქონე მინის მილი. მის ზედა (კიდებუად-მოღუნულ) ბოლოს საბავშვო ფერადი ბუშ-



ჯანდიერმა გადაწყვიტა, ქართლის მეფისათვის ჯარი ეთხოვა და მტერს თავს დასხმოდა.

— მომეცი ჯარი, უთხრა მეფეს, — და სულ რამდენიმე დღეში თბილისს თავისუფალს ჩაგაბარებო.

მეფე ენდობოდა გმირული ნებისყოფითა და ჭკუა-გამჭრიახობით ცნობილ დიერ ჯანდიერს, მისცა მას მებრძოლი რაზმები და თან დაუბარა: პირდაპირი იერიშით, მე მგონია, არაფერი გამოგივათ, რადგან თბილისის ყველა კარი, განჯისა, დიღმისა თუ კოჯრისა მტერს საგანგებოდ აქვს გამაგრებული და დამანულოო.

დიერმა თბილისს კოჯრის მხრი-



დან მოუარა, ჯარი თაბორის მთის ხევხუვებში დამალა და უბრძანა: დაძახილზე იერიშით შემოდიეთო. თვითონ კი თავისი ძმებითა და სახლიკაცებით ფარულ სამზადისს შეუდგა; ზევიდან ნაბდები წამოიხსეს, რომ იარაღი არ გამოსჩენოდათ, ოცამდე სახედარს ფიჩხი და ნახშირი აჰკიდეს და თბილისს კოჯრის კარით მიადგნენ. დაძახილზე კარის მცველებმა კოშკიდან გადმოხედეს და რაკი ფიჩხის გუდურებით და ნახშირის ტომრებით

დატვირთული სახედრები დაინახეს, კარები გაუღეს და ქალაქში შეაღწიეს. აქ დიერ ჯანდიერმა და მისმა თანმხლებლებმა გუშაგები ისე მონერხებულად ამოხოცეს, რომ მათ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრეს. ქართველი ჯარიც გრივად შეიჭრა ქალაქში, შურის ციხე და მეტეხი, სადაც გაქცეული ოსმალები შეიხვეწნენ, ალყაში მოაქცია და მალე მტერი განდევნა.

ამ გამარჯვებამ დიდი სიხარული მოუტანა ხალხს; მეფემ დიდად დაუმაძღვა დიერ ჯანდიერს გმირობა — თავადობა უბოძა და მამულები უწყალობა.

ამიერიდან დიერ ჯანდიერი თბილისის მკვიდრი გახდა. იგი მუდმივად ლაშქარში იყო და არაერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მისი გმირული სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველზე დაიფუტვლა.

შაჰინაშა მეფის მკვლელობა

შაჰინაშა მეფის მკვლელობა XVIII საუკუნის სახალხო გმირია. მისი მშობლები ქვემო ქართლის სოფელ ალგეთის მკვიდრნი იყვნენ. აქ იყო მათი პირველსაცხოვრისი. ისინი შეიღებეს სამამაცო ზნით ზრდიდნენ. ქვემო ქართლი, რომელიც ბარათაშვილებსა და ორბელიანებს ეკუთვნოდათ, სიმაგრეებით იყო შემორკალული, თითქმის ყველა დიდ სოფელში ხალხის თავშესაფრად და მტერთან საბრძოლველად ციხე-კოშკები იყო აგებული.

იმ დროს თეიმურაზ მეფესა და ერეკლე მეფეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა არჩილ ბაგრატიონი, რომელსაც მაჰმადიანობა მიეღო და აბდულ-ბეგად იწოდებოდა. არჩილ ბაგრატიონი ქართლის მეფობას ჩემულობდა. მაჰმადიანები გვერდში უდგნენ და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მას. მისი მომხრენი თბილისში, თაბორის ციხეში გამაგრებულიყვნენ. აბდულ-ბეგმა ცი-

ხეში დამატებით ორასი დაქირავებული ლეკი შეგზავნა.

თოფ-ზარბაზნით რომ ვერა გააწყო რა, ერეკლემ ციხეზე იერიში ბრძანა, მაგრამ მეციხოვნენი მაგრად იღგნენ და ყველა იერიშს იგერიებდნენ. არც მოიერიშენი ცხრებოდნენ. მათ შორის იყო ქვემო ქართლის მებატონის პაპუნა ორბელიანის ყმა, ალგეთელი შავერდა მღებრიშვილი. ალგეთი საუკუნეთა განმავლობაში მტრის სათარეშო გამხდარიყო. ამ სოფელში მრავალი გმირი დაბადებულა და აღზრდილა. მღებრიშვილთა მოდგმაც მათ კვალს მისდევდა. შავერდა ბავშობიდანვე სხვების ღარად ასპარეზობდა — ჭიდაობაში, მშვილდისრის სროლაში, დაბრკოლებათა გადალახვაში, ციხე-გოდოლების დაპყრობაში ტოლს არავის უღებდა.

დავაყვაცებული შავერდა, სხვა ტოლ-სწორების მსგავსად, მუდმივ ლაშქრობაში იყო, ჯერ ბარათანთ სადროშოს რაზმებში იბრძოდა, შემდეგ სამეფო ლაშქარში. აი, ამ დროს მოხვდა შავერდა მღებრიშვილი ციხის მოალყე ლაშქარში.

იგი ერთობ გულმოსული ჩანდა,



ვერ ისვენებდა, ბრაზობდა, აქედან სირცხვილეული როგორ წავიდეთო, ანდა მეფე ერეკლეს რა თვალით შეეხედოთო.

— ბატონო პაპუნა, სირცხვილი მწვავს. ციხე თუ ვერ ავიღეთ, ისე როგორ წავალთ! — მერე დასძინა: — ნება მომეცი ციხის კედელზე ავიჭრა. მებრძოლნი გათამამდებიან და მომბაძავენ, რაკი ერთი გადავალთ, ციხეც გატყდება, ავიღებთ და მეფესაც ვასახელებთო.

— იყოს ნება შენი, მხოლოდ ფრთხილად, თავი არ წააგო, — მიუგო პაპუნამ.

შავერდა მღებრიშვილი ყველას თვალწინ აიჭრა ციხის კედელზე და კოშკს თავზე მოექცა. თათარნი და ლეკნი უმალ ეცნენ. შეეჭიდნენ და იარაღის ხმარების საშუალება არ მისცეს. იგი ხელით იგერიებდა მტერს, ციხიდან ძირს ჰყრიდა. შავერდას დანარჩენი მებრძოლები მიჰყვნენ, ციხეში ბრძოლა გაჩაღდა. იძლივნენ თათარნი და ლეკნი, ციხეც დაეცა.

ამ ბრძოლის თვითმხილველმა, ქართლის ცხოვრების მემკვიდრე პაპუნა ორბელიანმა საგანგებოდ მოიხსენია და თაობებს გადასცა შავერდა მღებრიშვილის გმირობა. „არ ავად იყო იმ დღეს მღებრიშვილი შავერდა, ყმა პაპუნა ორბელიანისა. მივიდა გულსრულად და ზედ კოშკზე აიჭრა. მეტი სიხარულისაგან იარაღი რომ ვერ იხმარა, ციხის კედლიდამ ხელდახელ ეჭიდებოდნენ, რომ ჯარი სულ ხედვიდა და უქებდნენ მამაცობას, დააწყლოლეს ბაირამ (შავერდას მეორე სახელს ბაირამს ეძახდნენ — გ. ს.) და წამოიღეს. ეგრე დაწყლოლებული მოართვა პაპუნამ მეფე ერეკლეს. მეფემ უბრძანა წყალობა და სცა ნუგეში“ (პაპუნა ორბელიანი, „ამბავი ქართლისანი“).

გმირმა შავერდა მღებრიშვილმა მალე მოიშუშა ჭრილობები და კვლავ ლაშქარში ჩადგა. მან არაერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ბოლოს სიცოცხლეც გასწირა სამშობლოსათვის.

პაპუნა ორბელიანი.



სახელოვან ადამიანთა პატივად

(იხ. „პიონერი“ № 7)


დიდი მეცნიერები სიტყვების ენას ზოგჯერ ნახაზებისა და ფორმულების „ლექსიკას“ ამჯობინებენ. არძიმედის ანდერძით, მისი საფლავის ქვას დაახატეს სფერო და სფეროს გარშემო შემოხაზული ცილინდრი, რათა შთამომავლობას არ დავიწყებოდა ავტორი განთქმული შეფარდებისა: სფეროს მოცულობა შეადგენს მის გარშემო შემოხაზული ცილინდრის მოცულობის ორ მესამედს, ხოლო ამ სფეროს ზედაპირის ფართი იმავე ცილინდრის ფართის ორი მესამედის ტოლია. ნ. უმომემა, რომელმაც ცხადყო, თუ როგორ გადაიციემა ენერგია მაგნიტურ ველში, ისურვა, რომ მისი საფლავის ქვაზე ამოეკვეთათ ენერგიის ნაკადის ფორმულა. იოჰან ბერნულის საფლავის ლოდზე ლოგარითმული სპირალის გრაფიკა ამოჭრილი. შარბლემ, ამ გენიალურმა თვითნასწავლმა, ფანტასტიკურად მრავალმხრივმა მეცნიერმა, საერთოდ აკრძალა მისი საფლავის ქვაზე რაიმე ეპიტაფიის წარწერა. ხოლო იანოშ ბოლინი, არაეკვილიდური გეომეტრიის ერთ-ერთმა შემოქმედმა, ასეთი ანდერძი დატოვა: „არ დამიდგათ არავითარი ძეგლი, ჩემს საფლავზე მხოლოდ ვაშლის ხე დარგეთ სამი ცალი ვაშლის სახსოვრად: ორმა მათგანმა, ევას და პარისის ვაშლმა, ღამის ჯოჯოხეთად აქცია დედამიწა, მესამემ კი, ნიუტონისამ, იკვივე დედამიწა ციურ სხეულთა სიმაღლეზე ატყორცნა“.

ეურნალი „ტენიკა მოლოდიოვი“.




დააყოვნე და მერე გულ-
დაგულ გაწმინდე ჭაგრი-
სით.

ალბათ დაკვირვებისარ:
როცა მინას ჭრი, მინის
საჭრელი ხშირად აზია-
ნებს ფურცლის კიდეს.
თუ მინის საჭრელის კო-
რპუსს კუთხეებს გაუქ-
ლიბავ, შენი ნახელავის
ხარისხი გაცილებით მა-
ღალი იქნება.



თუ საბეჭდი მანქანის
ლენტი გამოშრა და
მკვეთრ ანაბეჭდს აღარ
იძლევა, მის გადაკლებას
ნუ იჩქარებ. ლენტი ერთი
დოლფურადან მეორეზე გა-
დაახვიე და თან, ამავე
დროს, ზედ უსვი ტომ-
პონი, რომელიც მინერა-
ლური (სამანქანო ან სა-
ტრანსფორმატორო) შე-
თით არის გაუდენილი.
შემდეგ უკანვე გადმოახ-
ვიე გაჭიმულ მდგომარე-
ობაში და ასე შეინახე.
რამდენიმე დღის შემდეგ
ხელთ გექნება განახლე-
ბული ლენტი.

საბავშვო თხილამურე-
ბის ჯონი შეიძლება მის
პატრონთან ერთად „გაი-
ზარდოს“: დამოკლებული
ჯონი ტარს ქვემოთ 15
სმ-ის დაშორებით გადა-
ხერხე და ბოლოები ერთ-
მანეთთან უფრო დიდდი-
ამეტრიანი ალუმინის მი-
ლით დააკავშირე. მიღმა
რომ არ ისრიალოს, შეე-
რთების ადგილებს საი-
ზოლაციო ლენტი დაახ-
ვიე.



ძველი შეთოვანი სა-
ღებავის ლაქის მოცილე-
ბა თუ გინდა, 130 გრ ჩა-
უშვარალი კირი, 45 გრ
პოტაში (K₂CO₃) და წყა-
ლი ისე აურიე ერთმანე-
თში, რომ არაუპანისებური
მასა გამოვიდეს. ეს ნა-
რევი დალაქავებულ ად-
გილს წასცხე, 12 საათს

საკონკრეტო პერიოდული
შეხვედრის

მ. ჩხბთინი — სექტემბერი (ლექსი)	გარეგ. 2
ცოლენის ზეიმის გილოცავთ, ყმაწვილებო!	
(ბ. კობახიძის, მ. გომილაძის მილოცვები)	1
თ. ცაგარელი — კარგი ხარ, ბანაკო! (ნარკვევი)	2
ბ. ლორია — კვამლი მთაში (მოთხრობა)	4
ბ. გურგენიძე — სხვა ოცნების მწვერვალები (ლექსი)	11
ვიქტორინა-კონკურსი	12
უ. შიშინაძე — ზურგის ქარს გისურვებთ, ბიჭებო! (წერილი)	14
მ. შაილდი — თავკერძა გოლიათი (ზღაპარი)	18
აიხი	20
ბ. გემგამორი — ბუნების ფერების ესთეტიკა (წერილი)	22
თ. კობახიძე — მამულა (ლექსი)	23
უცხოური იუმორი	23
ბ. კლბთნოვი — უსახელო ყვავილი (ზღაპარი-სინამდვილე)	24
ფ. კვიციანი — პური ჩვენი არსობისა (წერილი)	26
ლ. გელაშვილი — უცნაური თევზები (წერილი)	27
საინტერესო თემაზე	28
ჯადოსნური სარკე	28
სახალისო ფიზიკა	29
3. სიღმრთეობა — დიერ ჯანდიერი; შავერდა მღებრიშვილი (წერილები)	30
სახელოვან ადამიანთა ეპიტაფიები	31
გამოგადგები	32
ცხრაკლიტული	გარეგ. 3
თ. ჯალაღანიძე — ჩვენი საგამოფენო დარბაზი (წერილი)	გარეგ. 4

გარეკანის I-ლი გვერდის მხატვრობა ელ. აბოშაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შალია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზაშვილი, ზურაბ გომილაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაშვილი, ბიორგი ქლიბაძე, რომანო ლა-
რიაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამგინაძე (პ/მგ. მდივანი),
ლიანა შეფიჩიანი, ზურაბ წამბაკაშვილი, ზურაბ ზუმბა-
რიძე.

საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილი-
სი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტე-
ლეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ.
მდივნის — 98-97-08, 98-58-05, განყოფილებების — 98-97-02, 98-97-01-
გადაეცა საწყობად 27. 07. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად
20. 09. 94 წ. ქალაქის ფორმატი 60×90¹/₃. ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1679
ტირაჟი 153.000 ეგზ., შპ 08237

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной пионерской
организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси,
ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии,
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 155.000 экз. Цена 20 коп.

მხატვრის დიმილი

მხატვარი ბივი პატრიკაშვილი





პ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 5. საბუთო კინორეჟისორი; 7. საფრანგეთის ქალაქი; 8. გრძნეული ქა-

თლი; 17. სახპორტო მოედანი; 18. ნარნარა, მულერადი მელოდია; 21. ქალაქი მდ.

მომადგენელი; 26. მინდვრის უვავილი; 27. დაბა ქართლში; 29. ფეხბეღანაწვევრებული უხერხემლო ცხოველი; 31. ქართული ჭიმიკოსი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

უვეულად: 1. ხმის ჩასაწერი და სურათის გადასაღები აფსკი; 2. შოტლანდიელი პოეტი; 3. სოფელი კასპის რაიონში; 4. ცელქი, მოუსვენარი. 6. ქართველი მოკილავე; 7. ჩრდილი, აჩრდილი; 9. ძვრფასი ქვა; 10. დრამატულ ნაწარმოებთა შექმნის ხელოვნება, თეორია; 12. შედარებით სუსტი მონაწილისათვის მიცემული უპირატესობა სპორტულ შეჯიბრებაში; 16. აზიის სახელმწიფო; 17. იაპონური პოეზიის უძველესი უანრი; 19. მწერი; 20. უ. დინეის ფილმი; 23. სასტუმროს მოსამსახურე; 24. გარეული ფრინველი; 25. მე-18 საუკუნის ინგლისელი პოეტი; 30. სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით ან მოტოციკლებით ქალაქის პირობებში.


შეადგინა
ბ. ქურდოვანიძემ

შ ა რ ა დ ე ბ ი

თავდასხრილი განაბულია იგი ბუჩქის ძირას, ცისფერთვალა უვავილია, გიკრფია ხშირად. მეორე კი ზედსართავად შენს ოცნებას შეენის, ისეთია თვით ცხოვრება და ბავშვობა შენი. ერთმანეთის მიყოლებით შეკრიბე და ნახე, გაეცნობი ვადშლილი საძოვრების სახელს.

ბურთის სატოვრცი გოხის სახელს თუ მეტყვი ახლა, იმ მარცვალს დაიტოვებ. რომელიც თავში ახლავს. მერე მდინარეს უხმე, უყვარს ტალღების ჩქერა, სვანეთის მთიდან მოჭქუხს, უცებ მიხვდები, მჭერა, ვიღერე დაურთავ პირველს, მოხსლიტე წინა ბგერა. — სმენას დაგიტკობს მყისვე საკრავის სიმთა უღერა.

შ. ამირანაშვილი



ლი; 11. ციმბირის მდინარე, 18. ჰაერის ძლიერი მოძრაობა; 14. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 15. ქართული კინო-

მტკვრის ნაპირას; 22. ტაბიკების გადასაბმელი თოკი; 23. „გლახის ნამზობის“ პერსონაჟი; 25. დიპლომატიური წარ-

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

გაწელილი კუდი და კომპალივით თავი აქვს. თავკომბალა არ არის... მაშ, რა? — საკითხავია! არ გაგიმხელთ, თუმცა კი თქვენი დიდი ხათრი მაქვს: დაუკვირდით: სულ ცაში, ვარსკვლავებში დაფრინავს.

ტყეში სეირნობისას ქალაქს ფეხი დავკარი, უცებ შემომეხია იქაური ლაშქარი.

პაწაწინა ხანჯლებით დამიჩხვლიტეს სხეული, ტყიდან გამოვიქციე შიშით გადარეული. მხარდატყერა მოძმისა თურმე მათი წესია. მაშ, რა იყო ის ჯარი, მე რომ შემომეხია?


ველზე ვინმე ვიხილე — ტანკენარი, ცქრიალა, შემომხედა მზესავით — თვალი ჰქონდა ბრიალა. გაიხარა, როდესაც ყურადღება ვარგუნე, დავაცალე კბელები, შევწვი, შევაკნატუნე.

ის ერთი ჩემი ნაცნობი ფრთხილია, არა მშინარა, დღეს ისე არ დაიღამებს, რაიმე თუ არ გიშარა. ზურგიდან მოგეპარება, როგორც ცბიერი აფთარი, ხან ქოფაკით შეგიყვებს, ხანაც ავიკლებს ხარხარით. ყველის ნაპერც მომტაცა — წიწილა აღარ მაკმარა... ჩიტია ბოლოქანქარა!

ცხოველია, მართლაც-და განცვიფრების ღირსი: ბნელ სოროში ბინადრობს ნათესავი მისი. ის — მიწაზე დაცოცავს, ეს — დაფრინავს ცაში, იმას სული მიუღის თხილ-კაკლის ხვრაში, ეს — მწერებზე ნადირობს, სხვას არაფერს ერჩის. მერე სძინავს მთელი დღე, დაკიდებულს ჭერში.
ნ. მარინიძე

გ ა ს ა ლ ე ბ ი

აქ გამოსახულია გასაღების 10 ჭრითი. როგორ გგონია, რომელ მათგანს მოერგება ეს გასაღები?



პ ა ს ო ზ ი № 8 7 8 1
მ ი ლ ა ვ ა ნ ე ლ
„ს ს რ ა კ ი მ ე ლ ე ა“

პ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 7. ნიაგარა; 8. ამალგამა; 9. ნოსტალგია; 10. ინსტიტუტი; 11. იმპერიალი; 18. ღირა; 15. სოია; 18. კონსტიტუცია; 19. აკუპუნქტურა; 20. კალა; 24. იენა; 26. ფიქსატორი; 29. კლდეხილრა; 30. ნუშიშმატი; 31. სტაფორდი; 32. სატორი.

შეკვლად: 1. ენისელი; 2. თალგამი. 3. კალამე; 4. კაკიკი; 5. მარხელი; 6. იმპულსი; 12. რეზიდენცია; 14. ასკურავა; 15. სპარტაკი; 16. ოსტაპი; 17. ცუკატი; 21. აქცენტო; 22. მინდორი; 23. კრამიტი; 25. ნოსტალგია; 27. სტატია; 28. ტუნისი.


გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

რკო, კოდალა, სანთელი, ცემენტი, დრო, ტაქსი, ვეშაპი.

ჩვენის რეპუბლიკის გეოლოგია

საგამოფანო

ღარბაზი



ანდრეა დელ ვეროკიო.

მსოფლიო ხელოვნების საგანძური იმდენად მდიდარია, რომ მის გაცნობას ადამიანის ერთი სიცოცხლე არც უყოფა, მაგრამ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნიმუშებს, ანუ შედევრებს ყველა აუცილებლად უნდა იცნობდეს. ამაში დაგვეხმარება წიგნები ხელოვნებაზე, მუზეუმები, გამოფენები. გადაწყვიტეთ, დროადრო „პიონერის“ ფურცლებზე წარმოვიდგინო ხელოვნების ცალკეული შედევრები.

რით დავიწყეთ? მოდიო, ყველაზე ძვირფასით. დედაშვილობით. დიახ! დედაშვილობის თემა ხომ ყველა დროის ხელოვნებას ალღევდა. ამ თემაზე შექმნილი შედევრებით განსაკუთრებით მდიდარია აღორძინების ეპოქა.

გენიალური მხატვრები ეკლესიის მსახურთა დაკვეთით ხატავდნენ ხოლმე მადონას – ღვთისმშობელს ძით, მაგრამ სინამდვილეში ეს ყოველთვის რეალური ადამიანები იყვნენ.

„მადონა ქრით“

ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ადრეული იტალიური აღორძინების გამოჩენილი წარმომადგენლის, ცნობილი ფლორენციელი მხატვრის ანდრეა დელ ვეროკიოს „მადონა ქრით“.

ანდრეა დელ ვეროკიოს შემოქმედება მე-15 საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. ეს იყო უმნიშვნელოვანესი აღმთქმებისა და გარდაცემის ეპოქა, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ახალი ხელოვნების მთავარ პრინციპებს. კაცობრიობამ ზურგი შეაქცია შუა საუკუნეების საზგასმულ პირობითობას, სიმბოლორობას და კვლავ მიუბრუნდა დავიწყებული ანტიკური ხელოვნების სიცოცხლით სავსე რეალიზმს. მეცნიერები და მხატვრები კვლავ სწავლობდნენ ანატომიას, მათემატიკას, ოპტიკას და პერსპექტივის კანონებს, იკვლევდნენ ფერისა და სინათლის თავისებურებებს.

ანდრეა დელ ვეროკიო, ანუ ანდრეა დი

მიქელე დი ფრანჩესკო ჩიონი თავისი დროის ტიპური წარმომადგენელია. იგი იმდენად ინდელი ფლორენციის უდიდესი ოსტატი იყო, მედიხების კარის მოქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი და ოქრომჭედელი. მისი სახელოსნო იყო ერთ-ერთი უმთავრესი კერა, სადაც ყოველმხრივი განათლება მიიღო მრავალმა შემოქმედმა, მათ შორის სახელგანთქმულმა ლეონარდო და ვინჩიმ. მას პირველს მიეცა მასწავლებლის ნახატში მონაწილეობის მიღების უფლება. ვეროკიოს „ნათლისღებაში“ ლეონარდოს უნდა დაეხმარებოდა მეორეხარისხოვანი პერსონაჟი – მუსლიმოდრეკილი ანგელოზი. ლეონარდოს ანგელოზი იმდენად მშვენიერი გამოვიდა, რომ, გადმოცემის თანახმად, ოსტატმა ფუნჯი დადო და იმ დღიდან ფერწერაზე ხელი აიღო. იქნება ამიტომაც იგი უფრო ცნობილია, როგორც მოქანდაკე. თუმცა, ასეა თუ ისე, ვეროკიოს ფერწერული ტილოები საესებით საკმარისია იმისთვის, რომ იგი სახელგანთქმულ ფერმწერთა შორის მოიხსენიებოდეს. „მადონა ქრით“ ამის ნათელი დასტურია. ეს სურათი დაცულია ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმში. იგი შესრულებულია 1470 წელს. დაწერილია ფიცარზე ტემპერის საღებავებით.

შარავანდელით მოხილი ღვთისმშობლი ნახევარფიგურა და ყრმა ქრისტე მოცემულია შორეული მთიანი პეიზაჟისა და ცის ფონზე. ვეროკიო დიდ სინაზესა და ლირიზმს ანიჭებს ნახატს. პარიაში ოდნავ, სულ ოდნავ არის ბავშვისკენ შეტრიალებული და მისკენ თავდახრილი. დედის ხელები მსუბუქად ეხება ყრმას. ყრმის თავიც პარიაშიაკენ არის დახრილი, და ეს საერთო აღერისანი მოძრაობა კრავს დედაშვილის ფიგურებს. მაგრამ, ამავე დროს, არც დიდებულების, ამაღლებულობის შთაბეჭდილება იკარგება, რადგან სურათი საერთო იერით მაინც თავშეკავებულია. ყრმის მოძრაობა და გამომეტყველება უჩვეულოდ სერიოზული და ჭკვიანურია, თუმცა პატარას ნაზი სხეული სავსებით რეალისტრად არის გამოსახული. გამჭვირვალე, გაფანტული ოქროსფერი შუქი აერთიანებს ამ სურათის თავშეკავებულ ფერებსაც. მთელ სურათში ერთადერთი მუქი ლაქა – მადონას ლურჯი მოსახსნამი.

სურათში იგრძნობა მოქანდაკისა და ოქრომჭედლის ხელიც – იგრძნობა ფორმალური სიმკვრივეში, მკვეთრი ხაზის დენადობაში, დეტალების – სამკაულების, ქსოვილის ნაოჭების, ორნამენტების, თმის ხვეულების გულდასმით და სიყვარულით გამოსახვაში.

ანდრეა დელ ვეროკიოს შემოქმედებამ დროა კვალი დააჩნია ევროპული ხელოვნების შემდგომი განვითარების გზას.

თაო. ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე